



ახალი ტანათლეძე

2014 წელი, 1-7 მაისი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№16 (650) გამომდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge




გვერდი 9

ღამივე მუხი მოძრა



გთავაზობთ 2014-2015 სასწავლო წელს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საბანანათლებლო დაწესებულებისა და ბაკალავრიატის აკრედიტებული საბანანათლებლო პროგრამების იმ ჩამონათვალს, რომლებშიც სტუდენტის სწავლის საფასურს სრულად აფინანსებს სახელმწიფო.

გვერდი 3



რუბრიკის „პროფესია პედაგოგი“ სტუმარია თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დანყოფითი კლასის მასწავლებელი ლალი კვინიხიძე

მნიშვნელოანი — ძნელად მკვლევი

გვერდი 5



ინფორმაცია

2014 წლის სკოლის გამოსაშვები გამოსცდების (დაგამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის) ჩატარების ბანრიბი:

21 მაისი: ქართული ენა და ლიტერატურა; ქართული, როგორც მეორე ენა; გეოგრაფია;

22 მაისი: უცხოური ენები; ფიზიკა;

23 მაისი: ისტორია; ბიოლოგია;

24 მაისი – მათემატიკა;

25 მაისი – ძივია.

2014 წლის სკოლის გამოსაშვები გამოსცდების (მე-11 კლასის მოსწავლეებისათვის) ჩატარების ბანრიბი:

14 ივნისი – ძივია; 16 ივნისი – გეოგრაფია; 17 ივნისი – ბიოლოგია; 18 ივნისი – ფიზიკა.

სკოლის მანდატურის სამსახურმა დაარსებულ 4 წლის იუზილი აღნიშნა

მანდატურის სამსახურმა 4 წლის მუშაობის შედეგები შეაჯამა.

მანდატურის სამსახური, უკანასკნელი წელიწად-წახვევის განმავლობაში, თვისობრივად შეიცვალა, შედეგად – საზოგადოებისათვის მისაღები და მოსწავლის უსაფრთხოებაზე ორიენტირებული გახდა.

მანდატურები გადაშვადებას უწყვეტ რეჟიმში გადიან და ახალი პროგრამების გაცნობით მუდმივად იმალევენ კვალიფიკაციას. მოსწავლეთა უსაფრთხო ფიზიკური გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებული არიან სასკოლო გარემოში შესაძლო რისკების შეფასებასა და დანაშაულის პრევენციაზე.

მანდატურები გადამზადებას უწყვეტ რეჟიმში გადიან და ახალი პროგრამების გაცნობით მუდმივად იმალევენ კვალიფიკაციას. მოსწავლეთა უსაფრთხო ფიზიკური გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებული არიან სასკოლო გარემოში შესაძლო რისკების შეფასებასა და დანაშაულის პრევენციაზე.

მანდატურის სამსახური ასევე ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებულ „პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის“ პროექტს, რისთვისაც ეს სამსახური შესაბამისი სპეციალისტებით დაკომპლექტდა.

მანდატურის სამსახური, ასევე, თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორცაა: UNICEF, USAID, PH International და NASRO. ეს თანამშრომლობა ეფექტურს ხდის საქმიანობას.

ლონისძიების ფარგლებში, 83 მანდატურს, რომლებიც კონკურსის შედეგად შეირჩნენ და გადამზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა გაიარეს, სერტიფიკატები გადაეცათ და დაინიშნენ საჯარო სკოლებში.

მოსწავლეება ავლანეთიდან ქართველი მეზობლების ბარათები მიიღეს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს ერთობლივი პროექტის „წერილი ჯარისკაცებს“ ფარგლებში, რამდენიმე თვის წინ, საქართველოს 75 საჯარო სკოლის IV-V კლასის მოსწავლეებმა ავლანეთში მიმდინარე ISAF-ის ოპერაციაში მონაწილე ჯარისკაცებს მხარდაჭერის 700-მდე წერილი გაუგზავნეს.

ქართველი ჯარისკაცებმა ბარათების ნაწილს უკვე უპასუხეს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, იუსტიციისა და თავდაცვის სამინისტროების მოადგილეები თბილისის 87-ე საჯარო სკოლას ეწვივნენ და IV-V კლასის მოსწავლეებს ავლანეთში მყოფი ქართველი ჯარისკაცების წერილები გადასცეს.

ლონისძიების მონაწილეებმა ავლანეთში გადაღებული ვიდეოკადრებიც ნახეს, სადაც ქართველი ჯარისკაცები ბავშვების წერილების გაცნობისას მიღებულ ემოციებს ვერ ფარავენ.

პროექტის – „წერილი ჯარისკაცებს“ მიზანია სამშობლოდან შორს მყოფი მეზობლების მხარდაჭერა და მოზარდებში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაძლიერება.

იურისტის კონსულტაცია

რაგადენი ხნით მიიციება დასაქმებულს/მოსამსახურეს ორსულობის, მშობიარობისა და გაუფრთხილების შემთხვევაში ანაზღაურებად?

დასაქმებულს/მოსამსახურეს, თავისი მოთხოვნის საფუძველზე, ეძლევა შევსება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო – 730 კალენდარული დღის ოდენობით, რომელთაგან ანაზღაურებადია 183 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში ანაზღაურებადია 200 კალენდარული დღე.

რაგადენი ხნით მიიციება დასაქმებულს/მოსამსახურეს ახალშობილის შვილად აყვანის გამო შევსება ან ანაზღაურებად?

დასაქმებულს/ მოსამსახურეს, რომელმაც იშვილა ერთ წლამდე ასაკის ბავშვი, თავისი მოთხოვნის საფუძველზე, ეძლევა შევსება ახალშობილის შვილად აყვანის გამო, ბავშვის დაბადებიდან 550 კალენდარული დღის ოდენობით.

შუაპლია დასაქმებულს ბავშვის მოვლის გამო აიღოს დასაქმებითი შევსება?

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 30-ე მუხლის თანახმად, დასაქმებულს, თავისივე თხოვნით, უწყვეტად ან ნაწილ-ნაწილ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში 2 კვირისა, ეძლევა ანაზღაურების გარეშე შევსება ბავშვის მოვლის გამო – 12 კვირის ოდენობით, სანამ ბავშვს შეუსრულდება 5 წელი.

ტებითი შევსება შეიძლება მიეცეს ნებისმიერ პირს, რომელიც ფაქტობრივად უვლის ბავშვს.

ორსულობისა და მშობიარობის გამო საჯარო მოსამსახურეს, დახმარებასთან ერთად, მიიციება კომპენსაცია?

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 411 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საჯარო მოსამსახურეს, ორსულობისა და მშობიარობის გამო შევსებასთან დაკავშირებით, კანონმდებლობით დადგენილ დახმარებასთან (ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის ან ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებად შევსებების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარება) ერთად, მის მიერ შევსებების პერიოდში მისაღები შრომითი გასამრჯელოს სრულ ოდენობამდე შესაცვებად, ეძლევა კომპენსაცია.

ვის მიერ ხდება დახმარებისა და კომპენსაციის გაცემა?

დახმარება გაიცემა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კერძოდ, ამ თანხას გასცემს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“, მაგრამ არა უმეტეს 1000 ლარისა, ხოლო კომპენსაცია გაიცემა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საბიუჯეტო (სახანონო) დაწესებულების მიერ, მისთვის შესაბამისი ბიუჯეტიდან კანონით გამოყოფილი ასიგნებიდან.

როგორ ხდება დახმარებისა და კომპენსაციის ანაზღაურება?

ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების გაცემის საფუძველზე ნარმოადგენს დასაქმებულს/მოსამსახურეს შევსებული საავადმყოფო ფურცელი ან, ახალშობილის შვი-

ლად აყვანის შემთხვევაში, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება. ამასთან, დასაქმებულისათვის/მოსამსახურისათვის დახმარების ან კომპენსაციის მიღების უზრუნველსაყოფად, დასაქმებელი/დაწესებულება ვალდებულია, სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოში წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) საავადმყოფო ფურცელი ასლთან ერთად, ხოლო შვილად აყვანის შემთხვევაში, შვილების შესაბამისი დოკუმენტი ასლთან ერთად (დედნების დაკარგვის შემთხვევაში – მისი დუბლიკატი და მათი ასლები);
ბ) დასაქმებულის/მოსამსახურის პირადობის მონომის ასლი;
გ) დაფინანსების განაცხადი 3 ვებმპლარად, რომელიც დამონმებული უნდა იყოს დამსაქმებლის/დაწესებულების ბუქლით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აგრეთვე ხელმძღვანელისა და ბუღალტრის ხელმოწერებით;
დ) საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი დასაქმებულის/მოსამსახურის პირადი საბანკო ანგარიშის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

რა შემთხვევაში არ ანაზღაურდება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შევსება არ ანაზღაურდება, თუ საავადმყოფო ფურცლის დახურვიდან, ხოლო შვილად აყვანის შემთხვევაში – სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან, გასულია 6 თვე.

ნატა ჩანადირი საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი

ერთიანი ეროვნული გამოცდები - 2014

2014-2015 სასწავლო წელს სახელმწიფო მხარე დაფინანსებული უმაღლესი საბანძანათლებლო და-წესებულების და ბაკალავრიატის აკრედიტაბული საბანძანათლებლო პროგრამების ის პროგრამული მიმართულება/მიმართულებები, რომელშიც/რომლებშიც სტუდენტის სწავლის საფასურს სრულად აფინანსებს სახელმწიფო

კოდი	მიმართულება	კოდი	დარგი/სპეციალობა
01	აგრარული მეცნიერება	0101 0102 0103 0104 0105	აგრონომია ვეტერინარია მეცხოველეობა სასურსათო ტექნოლოგია სატყეო საქმე
03	განათლება	0301 0302	განათლების მეცნიერებები მასწავლებლის განათლება
04	ინჟინერია	0404 0405 0406 0415	საინჟინრო ფიზიკა ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია მშენებლობა აგროინჟინერია
05	მეცნიერება/საბუნების-მეტყველო მეცნიერებანი	0501 0502 0503 0504	მათემატიკა ფიზიკა ქიმია ბიოლოგია/სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებანი/გამოყენებითი ბიომეცნიერებები
07	სოციალური მეცნიერებები	0701	ეკონომიკა
10	ჰუმანიტარული მეცნიერებანი	1004 1005 1006	ისტორია ფილოლოგია ფილოსოფია
11	მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	1101 1115	არქიტექტურა არქეოლოგია

№	კოდი	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	კვალიფიკაცია	2014წ. უსდ-მიერ დარეგისტრირებული ადგილები
	001	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ცნობარის მიხედვით	
1	0010101	ქართული ფილოლოგია	ფილოლოგიის ბაკალავრი	200
2	0010102	ისტორია	ისტორიის ბაკალავრი	150
3	0010103	არქეოლოგია	არქეოლოგიის ბაკალავრი	25
4	0010104	ფილოსოფია	ფილოსოფიის ბაკალავრი	25
5	0010105	დანყებითი განათლება	განათლების ბაკალავრი	25
6	0010201	მათემატიკა	მეცნიერებათა ბაკალავრი მათემატიკაში	100
7	0010202	ფიზიკა	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი ფიზიკაში	100
8	0010203	ქიმია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი ქიმიაში	100
9	0010204	ბიოლოგია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი ბიოლოგიაში	100
10	0010401	ეკონომიკა	ეკონომიკის ბაკალავრი	400
		ჯამი		1225
	003	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	კვალიფიკაცია	
1	0030101	მშენებლობა	ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობაში	500
2	0030203	ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია	ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის ბაკალავრი	450
3	0030601	არქიტექტურა	არქიტექტურის ბაკალავრი	150
4	0030803	მათემატიკა	მათემატიკის ბაკალავრი	50
5	0030807	საინჟინრო ფიზიკა	საინჟინრო ფიზიკის ბაკალავრი	100
6	0031001	აგრარული ტექნოლოგიები	აგრონომიის ბაკალავრი	75
7	0031002	სასურსათო ტექნოლოგია	სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი	120
8	0031003	სატყეო საქმე	სატყეო საქმის ბაკალავრი	100
9	0031004	აგროინჟინერია	ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში	80
10	0031005	მეცხოველეობა	მეცხოველეობის ბაკალავრი	75
11	0031006	აგრონომია	ბაკალავრი აგრონომიაში	75
12	0031007	ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია	ბაკალავრი აგროინჟინერიაში	75
		ჯამი		1850

	009	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	კვალიფიკაცია	
1	0090101	ქართული ენა და ლიტერატურა	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში	150
2	0090107	არქეოლოგია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი არქეოლოგიაში	30
3	0090108	ისტორია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში	60
4	0090201	მათემატიკა	მათემატიკის ბაკალავრი	50
5	0090203	ფიზიკა	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ბაკალავრი ფიზიკაში	25
6	0090204	ბიოლოგია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი ბიოლოგიაში	60
7	0090404	ეკონომიკა	ეკონომიკის ბაკალავრი	100
8	0090501	დანყებითი განათლება	განათლების ბაკალავრი	210
9	0090605	ელექტრული ინჟინერია	ინჟინერიის ბაკალავრი	75
10	0090606	მშენებლობა	ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობაში	60
11	0090901	აგრონომია	აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი	75
		ჯამი		895
	010	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	კვალიფიკაცია	
1	0100201	მათემატიკა	მეცნიერების ბაკალავრი მათემატიკაში	50
2	0100202	ბიოლოგია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი ბიოლოგიაში	50
3	0100203	ქართული ფილოლოგია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში	50
4	0100204	ისტორია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში	100
5	0100205	ფილოსოფია	ფილოსოფიის ბაკალავრი	15
6	0100502	არქეოლოგია	არქეოლოგიის ბაკალავრი	50
		ჯამი		315
	012	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	კვალიფიკაცია	
1	0120101	მათემატიკა	მათემატიკის ბაკალავრი	20
2	0120201	ქიმია	ქიმიის ბაკალავრი	15
3	0120202	ბიოლოგია	ბიოლოგიის ბაკალავრი	15
4	0120203	ფიზიკა	ფიზიკის ბაკალავრი	10
5	0120301	ქართული ფილოლოგია	ფილოლოგიის ბაკალავრი	30
6	0120302	არქეოლოგია	არქეოლოგიის ბაკალავრი	15
7	0120303	ისტორია	ისტორიის ბაკალავრი	15
8	0120601	ეკონომიკა	ეკონომიკის ბაკალავრი	15
		ჯამი		135
	071	სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	კვალიფიკაცია	
1	0710104	ქართული ენა და ლიტერატურა	ფილოლოგიის ბაკალავრი	55
2	0710105	ისტორია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში	55
3	0710113	ბიოლოგია	ბიოლოგიის ბაკალავრი	40
4	0710121	დანყებითი განათლება	განათლების ბაკალავრი	62
		ჯამი		212
	114	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	კვალიფიკაცია	
1	1140101	დანყებითი განათლება	განათლების ბაკალავრი	90
2	1140204	ეკონომიკა	ეკონომიკის ბაკალავრი	30
3	1140401	მშენებლობა	ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობაში	30
4	1140403	აგრონომია (აგროტექნოლოგია, აგრო-ეკოლოგია)	აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი	50
5	1140502	ქართული ფილოლოგია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში	60
6	1140503	ისტორია	ისტორიის ბაკალავრი	30
7	1140602	ბიოლოგია	ბიოლოგიის ბაკალავრი	30
8	1140603	ქიმია	ქიმიის ბაკალავრი	15
9	1140701	ფიზიკა	ფიზიკის ბაკალავრი	15
10	1140702	მათემატიკა	მათემატიკის ბაკალავრი	30
		ჯამი		380
		სულ	5012	

თვალსაზრისი

განათლების ხელმისაწვდომობა ყველა ადამიანის ძირითადი უფლებაა

ინკლუზიური განათლება სასწავლო პროცესში, სხვა მოსწავლეებთან ერთად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეთა ჩართვას გულისხმობს. როგორც ცნება XX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა.

რადგან განათლების ხელმისაწვდომობა ყველა ადამიანის ძირითადი უფლებაა, განურჩევლად უნარისა და შესაძლებლობისა, განათლების სამინისტროს მიერ აღიარებულ იქნა ეს უფლებები და ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯებიც გადაიდგა, შესაბამისად, ინკლუზიური განათლების პრინციპების საგანმანათლებლო სისტემაში დანერგვას სერიოზული ყურადღება მიექცა.

ინკლუზიური განათლების ფარგლებში, განსაკუთრებით მახვილდება ყურადღება იმ ბავშვებზე, რომლებიც ზოგადად განათლებულ პროცესიდან გარიყვის რისკის ქვეშ იმყოფებიან, აქვე მოიაზრება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებიც, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმის მორგებას (ადაპტირებას) საჭიროებენ. ამ დროს გამოკვეთილი სირთულეების დაძლევა მხოლოდ მოსწავლის შესაძლებლობების სიღრმისეული შესწავლით, სპეციალურ მასწავლებელთან და სხვა საგნის სპეციალისტებთან ხშირი თანამშრომლობითა და კონ-

სულტაციებით შეიძლება.

მასწავლებელი არ უნდა შეუშინდეს განსხვავებულობას მოსწავლეთა სწავლების პროცესში. თუმცა, პედაგოგს დიდი დაკვირვება მართებს, რათა მის მიერ შემუშავებული გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი გეგმა იყოს ზედმიწევნით გააზრებული, ეროვნული გეგმიდან გამომდინარე, გამარტივებული და სსმ მოსწავლისათვის საინტერესო და მისაღები, რომ მისთვის ყოველი დღე სასურველი და საინტერესო იყოს. ეს მხოლოდ ერთპიროვნული, სუბიექტური გადაწყვეტის შედეგად კი არ მიიღწევა, არამედ პროფესიონალთა არგუმენტირებული, დასაბუთებული შეთანხმებით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ პროცესში მშობლის თანამონაწილეობა აუცილებელია, სწორედ მისი თანხმობით უნდა იქნეს ყურადღება გამახვილებული იმ მისაღწევ შედეგებზე, რომელიც მნიშვნელოვანი და სასარგებლოა სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლისათვის. ასევე დიდი დაკვირვება მართებს მასწავლებელს გრძელვადიანი გეგმის შედგენის დროსაც. მხოლოდ ასეთი დაგეგმვა მოგვცემს შესაძლებლობას, ყოველი დღე გავხადოთ მოტივირებული, ეს კი, თავის მხრივ, გარანტი იქნება, რათა უფრო გავფართოვოთ მოსწავლის დადებითი

უნარები, შევიძინოთ მას რაც შეიძლება მეტი, მიღწეულით წავახალისოთ და დავაინტერესოთ. ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ჩვენ მიერ მოსწავლისათვის შერჩეული პრიორიტეტული უნარები რეგულარულად გავიმეოროთ და განვამტკიცოთ, ე.ი. შევქმნათ მეტიც ბაზისი, რაც საფუძველი იქნება შემდგომი „შენებისათვის“, ეს კი ხარისხიანი განათლების მიღების პირობა გახდება.

მასწავლებლის მიზანი, აგრეთვე, უნდა იყოს მოსწავლისთვის სასურველი გარემოს შექმნა. მოსწავლეს არა მარტო არასასურველი ქცევის გამო უნდა მიუთითოს, არამედ იმაზეც, თუ რით ჩაანაცვლოს იგი. მასწავლებელს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ყურადღება გამახვილოს მხოლოდ პოზიტიურ ქცევაზე და სათანადოდაც ნახალების. ამით მივალნევთ იმას, რომ მოსწავლის აქცენტი უფრო დადებითსაკენ გადავხაროთ. ვეცადოთ, მაქსიმალურად ვაგრძობინოთ ბავშვს სითბო და კეთილგანწყობა.

მასწავლებელმა უნდა შეძლოს ისეთი პირობის შექმნა, რომ მოსწავლეს უხაროდეს ყოველი ახალი სასწავლო დღე, შეხვედრა თანატოლებთან, პედაგოგებთან დირექციასთან, უნდა უყვარდეს და ენდობოდეს სპეციალურ მასწავლებელს, რომელიც ყოველდღი-

ურად მუშაობს არა მარტო მოსწავლესთან, არამედ საგნის მასწავლებლებთან, კლასის დამრიგებელთან და სკოლის მულტიდისციპლინურ ჯგუფთან.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან მუშაობის დროს მხედველობიდან არ უნდა გამოვკრჩეს ის პრიორიტეტები, რომელსაც მშობელი მიიჩნევს საჭიროდ (ვგულისხმობ სწავლასთან ერთად საყოფაცხოვრებო უნარებს). ეს კი მიღწევადია იმ შემთხვევაში, როცა მასწავლებელი შემოქმედებითია, მიზნის მისაღწევად იყენებს ახალ-ახალ აქტივობებს და ქმნის იმის რეალურ საფუძველს, რომ სამომავლოდ მოსწავლემ შეძლოს იცხოვროს უსაფრთხო ცხოვრების წესით, შეძლოს პიროვნული ურთიერთობების დამყარება საზოგადოებასთან, არ გაუჭირდეს ორიენტაცია, შეეძლოს პირადი ჰიგიენის დაცვა და ყოველდღიური ცხოვრების აქტივობებში მონაწილეობა. მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩავთვლით ჩვენს მიზანს მიღწეულად და ჩვენს შრომას და გარჯას შედეგიანად.

მზია ზარნაძე
სსიპ ქუთაისის მე-8 საჯარო სკოლის პედაგოგი

„მედლოსანთა საქმე“

გაზაფხულის დადგომასთან ერთად სკოლებში „ახალი აქტივობა“, ე.წ. „მედლოსანთა საქმე“ იწყება. მიმდინარეობს მედლების მიღების კანდიდატთა დოკუმენტაციის გადამონება. „მედლოსანთა საქმე“, როგორც „ახალი აქტივობა“, მედლების აღდგენიდან ერთი წლის შემდეგ გაჩნდა და აპოგეას ცენტრალიზაციის ხელახალი აღზევების წლებში მიაღწია. ეს თემა ხდება სასკოლო საზოგადოების არაერთი განსჯისა და განქიქების მიზეზი. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ მედლოსანთა საქმე უამრავი მშობლის, მოსწავლის, მასწავლებლის, სკოლის ადმინისტრაციის უკმაყოფილებას იწვევს. რატომ? – ისმის კითხვა. იმიტომ რომ, რამდენადაც დაუჯერებლადაც არ უნდა ჟღერდეს, მედლების გაცემის არსებული წესი:

- 1. ყოვლად უსამართლო და დისკრიმინაციულია;
- 2. ყოვლად არაპრაქტიკული და არაპრაგმატულია;
- 3. ყოვლად წინააღმდეგობრივი და არქაულია;
- 4. საჭიროებს ხელახალ გააზრებას, შეცვლას და დახვეწას.

მკითხველთა ფართო წრისათვის სასკოლო საზოგადოების უკმაყოფილების მიზეზი გასაგები რომ გახდეს, განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

მედლების გაცემის მოქმედი წესის მიხედვით, მედალი არ გაცივმა მოსწავლეზე, რომელმაც ერთი სემესტრი ან ერთი საგანი მაინც დახურა ექსტერნის ფორმით! მაშინ როდესაც მოსწავლე სარგებლობს არჩევანის თავისუფლებით და დამკვეთულია განათლების მიღების სხვადასხვა ფორმა, ეს ჩანანერი აშკარად დისკრიმინაციულია მოსწავლეთა გარკვეული კატეგორიის მიმართ და აშკარად არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლს /თანასწორობის პრინციპი/. მაგალითად, რას ვემართლებით უცხოეთში სხვადასხვა პროგრამით გაგზავნილ მოსწავლეებს, რომლებმაც აქ ურთულესი კონკურსი გაიარეს, სადაც ზოგჯერ ერთ ადგილზე ასი მსურველიც კი მოდის?! /მაგ: პროგრამა FLEX/. ამ კონკურსის დაძლევის შემდეგ ნავიძენ ეს მოსწავლეები უცხოეთში, გადალახეს ადაპტაციის სირთულეები, ბრწყინვალედ დაასრულეს საგანმანათლებლო კურსი, ასახველეს თავისი თავი და ქვეყანაც და მათ, უმაღლესი შეფასებების მიუხედავად, ქართული კანონი მედალზე უარს ეუბნება.

რატომ? იმიტომ, რომ მათ მოუწიათ სამშობლოში დაბრუნებისას რამდენიმე საგნის ექსტერნად ჩაბარება! უსამართლობა არ არის?! მაღლობისა და პატივისცემის ნაცვლად, სახელმწიფო მათ მონდომებას, ნებისყოფას, შრომისმოყვარეობას არ აღიარებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართულ საზოგადოე-

ბას, ქართულ სახელმწიფოს ჯერ კიდევ ვერ გაუზარებია, ვინ გასაზრდევს ქვეყნის პროგრესს, ვისზე დგას სახელმწიფო, ვისი იმედი უნდა ჰქონდეს ერს მომავალში.

მაგალითად, ძალიან გაუგებარია, რატომ ეუბნება უარს სახელმწიფო იმ ნიჭიერ, შეუპოვარ და მიზანსწრაფულ მოსწავლეებს, რომლებმაც კლასი დახურეს წინსწრებით, მოიგეს ძვირფასი დრო და დაიმსახურეს უმაღლესი შეფასებები.

მეტად უცნაურია, რატომ არ აძლევს ქვეყანა მედალს უცხოეთის სკოლაში განათლებულ მედალებს, რომლებიც უნდა იყვნენ თანამემამულე, რომელიც ბრუნდება ქვეყანაში და სწავლას ასრულებს ქართულ სკოლაში?! ამ უცნაურობას აძლიერებს ქვეყნის ხელმოწერა ბოლონიის პროცესზე. სამაგიეროდ, ამ საქმეში შეზღუდვა არ აქვს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც აქ სკოლას წარმატებით დაამთავრებს და არც უნდა ჰქონდეს ალბათ, თუმცა ეს საკითხი ბოლომდე კარგად გააზრებას მოითხოვს. თუ ქვეყანა მის /უცხო ქვეყნის მოქალაქის/ სწავლას არ აფინანსებს და ის ვალდებულია საგანმანათლებლო ვაუჩერი შეიძინოს, მაშინ როგორ აფინანსებს სახელმწიფო მის ოქროს ან ვერცხლის მედალს?! თუ იგივე სახელმწიფო ამ კატეგორიის მოსწავლეებს არ უზრუნველყოფს პირველკლასელთა ბუკებით, როგორ აფინანსებს წარმატებულ ცერაკლასდამთავრებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს კომპიუტერებით?! როგორც ხედავთ, აქ არც პრინციპი ჩანს და არც რაიმე იდეოლოგია, სახეზეა სრული ქაოსი!

ასევე ბუნდოვანია, რატომ ეუბნება ქვეყანა მედალზე უარს თავის წარმატებულ მოსწავლეს, რომელსაც, ავადმყოფობის თუ რაიმე სხვა მიზეზის გამო, უხდება რომელიმე საგნის ან საგნების ექსტერნის ფორმით ჩაბარება?!

ახლა გასაგებია ალბათ იმ მოსწავლეებისა და მშობლების უკმაყოფილება, რომლებიც ამ უსამართლობის მსხვერპლნი გახდნენ, რომლებსაც გული დასწყვიტა ქართულმა კანონმდებლობამ და ქართულმა სახელმწიფომ!

რატომ არის უკმაყოფილო მასწავლებელი ამ წესის არსებობით? იმიტომ რომ, ეს წესი, თავისი არაპრაგმატულობისა და არაპრაქტიკულობის გამო, მასწავლებელს აიძულებს, შეღავათი გაუწიოს მედლის კანდიდატს იმ შემთხვევაში, თუ მას „ჩათვლია“, არ დაუფერხებია დაბალი ნიშანი, ვინაიდან დაბალი ნიშნის შემდგომი გამოსწორება თითქმის შეუძლებელია! ნათქვამია: „ერთხელ მდინარესაც ჩაეძინება“, მაგრამ ქართული კანონმდებლობით მედალოსანი „ჩაძინება“ არ დაიშვება. ამას მივხედვს ის, რომ თუ მასწავლებელმა წარჩინებულ მოსწავლეს „დაუთმო“, სხვა მოსწავლეებსაც უნდა „დაუთმოს“, ამას ითხოვს თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპი, რასაც ეწირება მასწავლებლის

ღირსება და ავტორიტეტი.

რატომ არის უკმაყოფილო ამ წესის არსებობით სკოლის ადმინისტრაცია და დამრიგებელი? იმიტომ რომ, თუ პედაგოგს მოუვიდა შეცდომა /უშეცდომო კი არავინაა/ ნიშნებისა და არების დაფიქსირების დროს მას არ ენდობა და ეჭვის თვლით უყურებს მონიტორინგს! სკოლების მიმართ უნდობლობაა სასკოლო საზოგადოების გალიზიანების მიზეზი, რასაც ემატება მონიტორინგის უაზრობა. უაზრობაა იმიტომ, რომ სახელმწიფო გზავის მედლის გაცემის დაუხვეწავი წესის შედეგს და არა მიზეზს.

თუ მონიტორინგის მიზანი ჭეშმარიტი მედალოსნის გამოვლენაა, მაშინ ეს ცალსახად მიუღწეველი მიზანია. თუ მონიტორინგის გაუცხადებელი მიზანია „სკოლების ტონუსში მოყვანა“, როგორც ამოხდა ერთი „პიარში-კი“, მაშინ გასაგებია, თუმცა ბოლომდე მაინც არა. 21-ე საუკუნეში „შიშის ეფექტი“ მართვა, ცენტრალიზაციის გაძლიერება უკვე ნარსული ეპოქაა. რეპრესანტის იმიჯის დამკვიდრებას შედეგად მოსდევს საპროტესტო განწყობილების გაძლიერება, ანუ „უღელქვორალური კრიზისი“ და გარდაუვალი მარცხი. „ბიზნესისა და პოლიტიკის სასაფლაო სავსეა იმ სუბიექტებით, ვინც ყური არ ათხოვს საზოგადოების მაჯისცემას“.

რამი მდგომარეობს ამ წესის არქაულობა და წინააღმდეგობრიობა? ატესტატი, როგორც ცნობილია, გაცივმა საატესტატო გამოცდების საფუძველზე, მედალი კი, რომელიც მიმბულია ატესტატთან – სკოლის ნიშნების საფუძველზე. თუ სკოლას არ ვენდობთ და ვატარებთ საატესტატო გამოცდებს „დამოუკიდებელი არბიტრის“, გამოცდების ეროვნული ცენტრის მეშვეობით, მაშინ რატომ ვენდობთ სკოლის ნიშნებს მედლების შემთხვევაში?! რატომ ვიყენებთ ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა მიდგომასა და პრინციპს?! გაუგებარია! როგორც ცნობილია, სახელმწიფო გასცემს სხვადასხვა ტიპის ატესტატებს – ჩვეულებრივს, ვერცხლის, ოქროსა და ექსტერნატის /შტამპით/, მაგრამ ამ სხვადასხვა ტიპის ატესტატების გაცემის მარეგულირებელი რაიმე დოკუმენტი არ არსებობს /სახეზეა იურიდიული კაზუსი/.

ატესტატზე ექსტერნის შტამპის ჩარტყმა მოქალაქის პირდაპირი დისკრიმინაციაა. რას ვუბნებთ ამით მოქალაქეს? როდესაც მის ატესტატს განსხვავებული ჩვეულებრივი ატესტატისაგან, არატოლდალოვანია ეს ატესტატი? ხარისხით განსხვავებულია თუ რამე სხვა მიზეზია?! არის თუ არა ეს საზოგადოების გარკვეული ნაწილის სტიგმატიზაცია?!

გასაგებია ვერცხლისა და ოქროს ატესტატების არსებობა, რომელიც განასხვავებს მოქალაქის ზოგადი განათლების ცოდნის ხარისხს, მაგრამ ექსტერნატის შტამპი ატეს-

ტატზე რა მიზანს ემსახურება? სრულიად ნათელია, რომ მედლების გაცემის არსებული წესი ჩამორჩა დროს და ის სხვაგვარ გააზრებასა და ცვლილებას ითხოვს. ჩვენი აზრით, მედლების გაცემა საატესტატო გამოცდების შედეგებს უნდა მიეზღოს და არა მხოლოდ საშუალო საფეხურის ნიშნებს.

უნდა დანესდეს მედლების მიღების მაღალი სტანდარტი, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს განვლილი წლების საატესტატო გამოცდების შედეგების სტატისტიკური ანალიზი და ის უნდა შეივსოს რეალური შინაარსით, კერძოდ: ვერცხლისა და ოქროს მედალოსანი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, უგამოცდოდ, პირდაპირ უნდა ჩაირიცხოს რეგისტრაციაში მითითებულ უმაღლეს სასწავლებელში, ასპროცენტითა და აფინანსებით; მის შობლებს უნდა გადაეცეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დანესტებული /დღეი ხანა დასაწესებელია/ საპატიო მედალი – „საუკეთესო შვილის აღზრდისათვის“; კლასის დამრიგებელს უნდა მიეცეს სამინისტროს პრემია, მინიმუმ, 1000 ლარის ოდენობით, სკოლის დირექტორს უნდა მიეცეს სამინისტროს პრემია, მინიმუმ, 1000 ლარის ოდენობით, მედალოსანი მოსწავლის საგნის მასწავლებლებს უნდა დაერიცხოთ შესაბამისი კრედიტ ქულები. ყოველივე ეს უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ შეიქმნას მედალოსნებთან შემხებლობაში მყოფი მოტივაციის გარკვეული სისტემა, რომელიც იქნება მისაბაძი მაგალითი და სტიმული მათთვის, ვისაც ასეთი მოსწავლეები ჯერ არ გაუზრდია. ერთუზიანობის იმედად ყოფნამ თავისი დრო დიდი ხანია მოჭამა და აღარ მუშაობს! „ადამიანები სტიმულზე უნდა იყავინებენ“!

ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ისტორიის გაკვეთილები – ჩანსოები, ჩალიჩი და პროტექცია, რასაც ადგილი ჰქონდა მედლებთან დაკავშირებით, კომუნისტური მმართველობის ბოლო პერიოდში, აღარ უნდა განმეორდეს! მედალოსნების მიმართ საზოგადოების ნდობას ბზარი არ უნდა გაუჩნდეს.

დროა, ქართულმა საზოგადოებამ და ქართულმა სახელმწიფომ მოახერხოს სასკოლო განათლების სისტემის ტრანსფორმაცია ისე, რომ მან მაქსიმალურად შეძლოს თითოეული მოქალაქის ტალანტისა და შესაძლებლობის გამოვლენა. დროა, ქვეყანამ შექმნას ნიჭიერ, მიზანსწრაფულ და შეუპოვარ მოსწავლეთა ელიტა, რომელიც მომავალში გახდება საზოგადოებისა და ქვეყნის მთავარი მამოძრავებელი ძალა, ლოკომოტივი ახალი ქართული ეკონომიკისა, რომელსაც ცოდნის ეკონომიკა ჰქვია და რომლითაც სუნთქავს 21-ე საუკუნე.

დიმიტრი გიშუჩვილი
თბილისის №116 საჯარო სკოლის დირექტორი

ორიენტირი – მხოლოდ შედეგი

რუბრიკის სტუმარია თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დანაშაუთი კლასის მასწავლებელი ლალი კვინიხიძე

ბავშვის სამყაროს შეცნობის სურვილით გააქტივებული არჩევანი

მასწავლებლობა არასოდეს ყოფილა ჩემი ბავშვობის ოცნება, ვერც ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე სკოლაში დავიწყებდი მუშაობას. თუმცა ძალიან მსურდა, ახლო ურთიერთობა მქონოდა ბავშვებთან. მინდოდა, ჩვენდომოდი მათ სამყაროს, მეტი გამეგო მათ შესახებ. უნივერსიტეტში, ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის დროს დავრწმუნდი, რომ არა მხოლოდ ზოგადად ადამიანის, არამედ ბავშვის ფსიქოლოგია და მათი სამყარო ძალიან მინტერესებდა. მივხედი, რომ ამის საშუალებას სკოლა მომცემდა. სწორედ მასწავლებლობით მივიღებდი იმას, რაც მინტერესებდა. აქედან გამომდინარე გადავწყვიტე მასწავლებლობა. მუშაობის პროცესში კი დავრწმუნდი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე.

უკვე 14 წელია, რაც სკოლაში ვმუშაობ. თავიდან, 2 წელი, დამხმარე მასწავლებლად ვიმუშავე. ამ პერიოდში ახლოს გავიცანი სკოლაში მუშაობის სპეციფიკას. ამავდროულად, გავიარე მასწავლებლის გადამზადების სრული კურსი. 2002 წლიდან კი, დაწყებითი კლასის პედაგოგი ვარ. დღეს მყავს საკუთარი სადამრიგებლო კლასი და მათთან ერთად სიამოვნებით ვმუშაობ. ისინი უკვე მე-3 კლასში არიან, ძალიან ალერსიანები, ლაღები და ცნობისმოყვარენი. სიამოვნებით მონაწილეობენ კლასგარეშე აქტივობებში – დავდივართ ექსკურსიებზე, ვაწყობთ სხვადასხვა ღონისძიებებს. გადამწყვეტილებებს, შეძლებისდაგვარად, ერთად ვიღებთ. ვცდილობ, საგნობრივი და ფაქტობრივი ცოდნა გამოიყენო ყოველდღიურ ცხოვრებაში, იყვნენ პუმანურები, კომუნიკაბელურები, კრეატიულები; გაულრმავდეთ სამყაროს შეცნობის სურვილი, კრიტიკულ-ანალიტიკური აზროვნება. ვცდილობ, სწორი მიმართულება მივცე მათ პიროვნულ განვითარებას.

მატი, ვიღრა პროფესია

მასწავლებლობა ჩემთვის გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ პროფესია. მეტად საპასუხისმგებლო საქმიანობაა. ამ საქმიანობაში წარმოუდგენელია გულგრილობა, ზერეულე დამოკიდებულება, რადგან საქმე გვაქვს ბავშვებთან, როგორც ქვეყნის ჯანსაღ, ნათელ მომავალთან. მასწავლებლობა არის პროფესია, რომელიც ეხმარება ბავშვს ჩამოყალიბდეს წარმატებულ პიროვნებად. მუშაობის პროცესი ნამდვილად არ არის მარტივი – გასათვალისწინებელია ბევრი რამ – ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით დაწყებული, ბავშვის ფსიქოემოციური ფაქტორებით დამთავრებული.

როგორ ავამაღლოთ მასწავლებლის მოტივაცია

იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს მასწავლებლის მდგომარეობა, პირ-

ველ რიგში, საჭიროა მასწავლებლობის, როგორც პროფესიის, პოპულარიზება, სათანადო ანაზღაურება, თანამედროვე ინფრასტრუქტურა, შესაბამისი რესურსი.

რაც შეეხება პროფესიულ წინსვლას – პედაგოგის პროფესიული განვითარება, როდესაც მასწავლებელი იკვლევს თავის საჭიროებებს და, აქედან გამომდინარე, გეგმავს აქტივობებს, რამაც შედეგზე უნდა გაიყვანოს. მუშაობა ამ კუთხით უკვე დაწყებულია. ამჟამად მიმდინარეობს პროგრამის პილოტირება, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას სკოლის ბაზაზე, რაც ძალიან ხელსაყრელია პედაგოგებისთვის. პროცესი აქტუალური ხდება ახალი სასწავლო წლიდან.

ამ ეტაპზე, პედაგოგი მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია განვითარდეს თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად. ამის საშუალებას იძლევა კვალიფიციური ტრენინგების არსებობა და ტრენინგ-მოდულები, რომელიც ხორციელდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. რიგ შემთხვევაში, შესაძლებელია დაიხვეწოს ამა თუ იმ ტრენინგის პროგრამა.

საკითხს სხვა მხრიდანაც უნდა შევხედოთ, კერძოდ: გამოთქვამს თუ არა მასწავლებლების უმრავლესობა სურვილს, ინტერესს ამ კუთხით. ვფიქრობ, თუ მასწავლებლის პროფესიონალიზმი მის ანაზღაურებასა და ნაახლისებაზე აისახება, მოტივაციაც ამაღლდება.

სარტიფიკირების ახალი სქემა

მისასალმებელია, რომ სქემა, რომელიც აქამდე არსებობდა, შეიცვალა, მიიღო უფრო სრულყოფილი სახე, რომელშიც სექტემბრიდან ჩაერთვება ყველა მოქმედი მასწავლებელი. განისაზღვრება კატეგორიები და კატეგორიის მიხედვით განსხვავებული იქნება ანაზღაურებაც. სასერტიფიკაციო გამოცდები მასწავლებლის არასრულყოფილი შეფასების ფორმა იყო. პედაგოგის პროფესიონალიზმის შესაფასებლად მარტო თეორიული ცოდნა საკმარისი არ არის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სქემა არ ითვალისწინებს ღვანლმოსილი პედაგოგების მაღალ პროფესიონალიზმს და მათ მეოთხე კატეგორიას (პრაქტიკოსი) ანიჭებს; მკვლევარი მასწავლებლის სტატუსი (მეორე კატეგორია) მხოლოდ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მქონე გამოცდილ პედაგოგებს მიენიჭებათ.

რას ნიშნავს იყო პროფესიონალი მასწავლებელი

პროფესიონალი მასწავლებელი უნდა ფლობდეს საგნის კომპეტენციებს და შესაბამის უნარ-ჩვევებს. სასწავლო პროცესის წარმართვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად უნდა შეეძლოს. პროფესიონალია მასწავლებელი, რომელიც

მუდმივად მზადაა სიახლეებისათვის, გამოირჩევა შემოქმედებითობით, პუმანურობით, აქვს თანამშრომლობის უნარი და, რაც მთავარია, მოსწავლე გაჰყავს შედეგზე.

რატომ უნდა აირჩიო მასწავლებლის პროფესია

მასწავლებლობა არის პროფესია, რომელიც იძლევა საკუთარი თავის, როგორც პიროვნების, რეალიზების საშუალებას. ახალგაზრდამ, რომელიც მუდმივად ახლის ძიებაშია, რომელსაც აქვს უნარი სხვისი გამოცდილების მიღებისა და გაზიარების, რომელსაც აქვს სურვილი, წვლილი შეიტანოს თავისი ქვეყნის განვითარებაში და მიიღოს უანგარო სიყვარული განუული შრომისათვის, ვინც მზადაა თავისი ენერჯია და ძალისხმევა მოახმაროს ამ საქმიანობას, ნამდვილად უნდა აირჩიოს ეს მართლაც კეთილშობილური საქმე.

სამწუხაროდ, მასწავლებლობა ნაკლებად პრესტიჟული პროფესიაა. პედაგოგთა შრომა არ არის სათანადოდ დაფასებული. სახელმწიფომ პრიორიტეტად უნდა დაისახოს ამ პროფესიის პოპულარიზაცია. ინტელექტუალმა ახალგაზრდამ სკოლაში პროფესიული ზრდის პერსპექტივა უნდა დაინახოს, რაც შემდგომში სათანადოდ იქნება დაფასებული და რაც აისახება ანაზღაურებაზე. ეს ხელს შეუწყობს ახალგაზრდა, ენერგიული, ინტერესანი კადრების მოზიდვას, რაც, თავის მხრივ, სკოლის განვითარებაზე დადებითად იმოქმედებს.

როგორ დავპლით რეპეტიტორობა

ზოგადად რეპეტიტორობა სწავლა-სწავლების დაბალ ხარისხზე მეტყველებს, რაც, თავის მხრივ, ამ სისტემაში არსებულ პრობლემებზე მიუთითებს. ამის ერთი კონკრეტული მიზეზი არ არსებობს, კომპლექსურად რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. პირველ რიგში, სკოლას უნდა დაუბრუნდეს ავტორიტეტი სწავლის ხარისხის ხარჯზე. თავის მხრივ, თითოეულმა მასწავლებელმა უნდა იზრუნოს ამ ყველაფერზე. მნიშვნელოვანია, ყველა პედაგოგი მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს თავის საქმიანობას და ორიენტირებული იყოს მხოლოდ შედეგზე. თუმცა, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა გარკვეულ დამბრკოლებას ქმნის. უდავოა, რომ ამ პრობლემების მოსაგვარებლად მასწავლებლის ხელშეწყობაა საჭირო, რათა გაუმჯობესდეს მისი სამუშაო გარემო.

მასწავლებლისთვის აუცილებელი თვისება

ბავშვის უპირობო სიყვარული – აი, რა არის საჭირო, მასწავლებელი მისაღები რომ გახდეს მოსწავლისთვის. ძალიან მნიშვნელოვანია, ბავშვმა მასწავლებელში დაინახოს მეგობარი და გულშემმატკივარი.

ესაუბრა ლალი ჯეღაძე



დაწყებითი საფეხურისა და V-XII კლასების პედაგოგებისათვის



ელისო ონაშვილი
ბიოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი

დასაწყისი ნი. №15

ადამიანის ჰემოგლობინის, პოლიპეპტიდის ამინომჟავების, იდენტური ამინომჟავების პროცენტული შედარება სხვა ხერხემლიანებთან. (კემპბელი).

იმუნოლოგიური კვლევები ასევე მოწმობს ორგანიზმებს შორის ევოლუციურ ნათესაობაზე. თუ ადამიანის სისხლის შრატს შევუყვანთ ბოცვერს, მოხდება სენსიბილიზირება და ბოცვერებში წარმოიქმნება ანტისხეულები ადამიანის სისხლის შრატის ცილების წინააღმდეგ. რამდენიმე ხნის შემდეგ, თუ ბოცვერის სენსიბილიზირებულ სისხლს დავამატებთ ადამიანის სისხლის შრატს, წარმოიქმნება კომპლექსი ანტიგენი-ანტისხეული, რომელიც გამოილექება (პრეციპიტატი). პრეციპიტატის გაზომვა შესაძლებელია. თუ ადამიანის სისხლის შრატით სენსიბილიზირებულ ბოცვერის სისხლს დავამატებთ სხვადასხვა ცხოველების შრატს, მიიღება სხვადასხვა რაოდენობის პრეციპიტატი. თუ ჩავთვლით, რომ პრეციპიტატის რაოდენობა უშუალოდ დამოკიდებულია შრატის ცილების მსგავსებაზე, ამით შეიძლება შევადაროთ ნათესაობის ხარისხს სხვადასხვა ჯგუფის ორგანიზმებს შორის.

შედარებითი სეროლოგიური მეთოდი ფართოდ გამოიყენება ფილოგენეტიკური კავშირების დასადგენად. მაგალითად, ზოოლოგებმა არ იცოდნენ, რომელი სისტემატიკური ჯგუფისათვის მიეკუთვნებინათ კუდმახვილა (Limulus). როდესაც სისხლის შრატს, რომელიც შეიცავდა კუდმახვილას სანინალმდეგო ანტიგენებს, დაამატეს სხვადასხვა ფესხასხრიანის ანტიგენები, ყველაზე დიდი რაოდენობით პრეციპიტატი წარმოიქმნა ობობასნაირების ანტიგენებზე. ამ შედეგმა გაამყარა მორფოლოგიური მონაცემები და კუდმახვილა მიაკუთვნეს კლასს Arachnida. ანალოგიურად გამოიყენეს ბევრი გაურკვეველობა ძუძუმწოვართა ფილოგენეტიკურ ურთიერთმიმართებაში.

ორგანიზმი	პრეციპიტატის რაოდენობა %
ადამიანი	100
შიმპანზე	97
გორილა	92
გიბონი	79
პავიანი	75
ობობასნაირი მაიმუნი	58
ლემური	37
ზღარბი	17
ლორი	8

პრეციპიტატის რაოდენობა, რომელიც წარმოიქმნება სხვადასხვა ძუძუმწოვრების სისხლის შრატის დამატებით ბოცვერის შრატზე, რომელიც შეიცავს ანტისხეულებს ადამიანის სისხლის შრატის ცილების წინააღმდეგ (პრეციპიტატის რაოდენობა, რომელიც წარმოიქმნება ადამიანის შრატთან, ჩათვლილია 100%-ად).

ცხოველების დაყოფის მართებულობა პირველადპირიანებად და მეორეულპირიანებად, რომელიც ეფუძნებოდა განსხვავებას ემბრიონულ განვითარებაში, გამყარდა კუნთის ქსოვილის ატფ-ის სინთეზში მონაწილე კუნთის ფოსფორმეტციკული ნივთიერებების შესწავლით. პირველადპირიანებს, რომელთაც ეკუთვნის რგოლოვანი ჭიები, მოლუსკები და ფესხასხრიანები, კუნთებში აქვთ არგინინფოსფატი, ხოლო მეორეულპირიანებს – კანეკლიანებსა და ქორდიანებს – კრეატინფოსფატი.

ბიოქიმიური ჰომოლოგიის კიდევ ერთი მაგალითია ის ფაქტი, რომ ხერხემლიანებს მსგავსი ან იდენტური ჰორმონები აქვთ. მაგალითად, ძუძუმწოვრების ჰიპოფიზის მიერ გამოყოფილი ჰორმონი პროლაქტინის მსგავსი ჰორმონი ნაპოვნია ხერხემლიანების ყველა ჯგუფში. პროლაქტინის მიერ გამოწვეული მრავალრიცხოვანი ეფექტები შეიძლება დაეყოს ორ ჯგუფად: ეფექტები, რომლებიც დაკავშირებულია გამრავლებასთან და ეფექტები, რომლებიც არეგულირებს ოსმორეგულაციას (იხ. ცხრილი).

ცხოველთა ჯგუფები	გამრავლება	ოსმორეგულაცია
ძვლიანი თევზები	ასტიმულირებს კანის მიერ ლორწოს გამოყოფას	აძლიერებს შარდის წარმოქმნას
ამფიბიები	ასტიმულირებს კვერცხების ლაბისმაგვარი კაფსულების სეკრეციას	ამაღლებს კანის განვლადობას წყლისადმი
რეპტილიები	თრგუნავს კვერცხის წარმოქმნას	ასტიმულირებს წყლის დაკარგვას კულებში
ფრინველები	ასტიმულირებს ჩიჩხვის რძის გამოყოფას	ზრდის წყლის მოხმარებას
ძუძუმწოვრები	ასტიმულირებს სარძევე ჯირკვლების განვითარებასა და ლაქტაციას	მოქმედებს ანტიდიურეტიული ჰორმონის მსგავსად

ორგანული სამყაროს ევოლუციის მთავარი მიმართულებანი

ცოცხალი ბუნების განვითარება ხდებოდა უმდაბლესი ფორმებიდან უმაღლესისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ და პროგრესული ხასიათი ჰქონდა. ამასთანავე, სახეობები კონკრეტულ საარსებო გარემოს ეგუებოდნენ, მიმდინარეობდა მათი სპეციალიზაცია.

ევოლუციის ძირითადი მიმართულებებია: **აროგენეზი, ალოგენეზი და კატაგენეზი.**

აროგენეზი (ბერძნული, airo – ვამალე, genesis – წარმოშობა) ისეთი ევოლუციური ცვლილებებია, რომელიც იწვევს ცოცხალ არსებათა ორგანიზაციის საერთო ამაღლებას, აძლიერებს ცხოველქმედების ინტენსივობას. ეს არის მორფოფიზიოლოგიური პროგრესის გზა, რომლის შედეგადაც მიიღება უფრო რთული ორგანიზმები და რომლებიც ნაკლებად და დამოკიდებული გარემო პირობებზე. აროგენეზი, მაგალითად, ოთხსაკნისანი გული და თბილსისხლიანობა ფრინველებსა და ძუძუმწოვრებში.

ერთი და იგივე ნიშანი ორგანიზმების ერთ ჯგუფში შეიძლება იყოს აროგენეზი, ხოლო სხვა ჯგუფში არა. მაგალითად, თბილსისხლიანობა, ცოცხლადმშობიარობა, შთამომავლობის რძით კვება და ტვინის მაღალი განვითარება ძუძუმწოვრებში უეჭველად აროგენეზია, თუმცა ეს ნიშნები, ტვინის განვითარების გარდა, ხერხემლიანთა სხვა ჯგუფებშიც არის. ბევრი თევზი ცოცხლადმშობიარეა, მტრედი ხუნდებს კვებავს ჩიჩხვის გამონაყოფით, რომელიც შემადგენლობითა და გემოთი რძისნაირია. მათი ორგანიზაციის დონე ამ შემთხვევაში არაა ამაღლებული.

აროგენეზით მიიღება ორგანიზმების ახალი, უფრო პროგრესული ჯგუფები (ამფიბიები მტევანფარფლიანი თევზებიდან, ქვეწარმავლები ამფიბიებისაგან და ა.შ.). პროგრესული ცვლილებები ეხება არა მხოლოდ მორფოლოგიას. მაგალითად, პრიმიტიულ ქორდიანების – მრგვალპირიანების (მინოგები) სისხლის პიგმენტი ჰემოგლობინი შედგება ერთი მოლეკულა ცილა გლობულინისა და ერთი ჰემასაგან, უფრო რთული ორგანიზმების, დანყებულ თევზებიდან, ჰემოგლობინში ასეთი ოთხი რთული მოლეკულა ერთიანდება.

ძირითადი აროგენეზები მცენარეებსა და ხერხემლიან ცხოველებში ხმელეთზე გადმოსვლისას

დადგენილია, რომ სიცოცხლე თავდაპირველად ჩაისახა წყალში და სიცოცხლის განვითარების ყველა საწყისი ეტაპი მიმდინარეობდა წყალში. ორგანიზმების ხმელეთზე გადმოსვლას ხელი შეუწყო მცენარეებში მნიშვნელოვანმა არომორფოზმა. ქსოვილებისა და ორგანოების წარმოქმნამ. უძველესმა წყალმცენარეებმა დასაბამი მისცა ხმელეთის პირველ მცენარეებს – ფსილოფიტებს. მათ არ ჰქონდათ ღერო, ფოთოლი და ფესვები და მინისქვედა ნაწილებზე უვითარდებოდათ რიზოიდები. წყალმცენარეებისაგან განსხვავებით, მათ ჰქონდათ მფარავი ქსოვილი – კანი და გამტარი ქსოვილები – მერქანი და ლაფანი. მრავლდებოდა სპორებით.

ფსილოფიტებისგან წარმოიშვა გვიმრანაირები, რომელთაც განუვითარდა ღერო, ფოთლები და ფესვები.



Aglaophyton major თანამედროვე ჭურჭლოვანი მცენარეების უძველესი ნათესავია. მისი გარეგნული სახე აღდგენილია ნამარხების მიხედვით, რომელთა ასაკი, დაახლოებით, 420 მლნ. წელია. მცენარეს აქვს დიქოტომიური (Y-ის ფორმა) დატოტვა და კიდურა სპორანგიუმები, რაც დამახასიათებელია თანამედროვე ჭურჭლოვანი მცენარეებისათვის, ხავსნაირებში (არაჭურჭლოვანი მცენარეები) არ გვხვდება (კემპბელი).


მცენარეთა ხმელეთზე არსებობის პირობებში მცენარეთა სამყაროს შემდგომი განვითარება დაკავშირებული იყო სხვა აროგენეზთან – სპორებით გამრავლებიდან თესლით გამრავლებაზე გადასვლასთან. გაჩნდა თესლიანი გვიმრები, რომელთაც დასაბამი მისცეს უძველეს შიშველთესლოვნებს, მათგან კი წარმოიშვა თანამედროვე შიშველთესლოვნები.



პროშიშველთესლოვანი Archacopteris, რომელიც არსებობდა 360 მლნ. წლის წინათ, ჰქონდა მერქანი და ჰეტეროსპორული იყო, თუმცა თესლს არ წარმოქმნიდა. მისი სიმაღლე 20მ-ს აღწევდა და გვიმრის მსგავსი ფოთლები ჰქონდა (კემპბელი).

შიშველთესლოვნების უძველესი სახეობებიდან წარმოიშვა პირველი ფარულთესლოვნები, ანუ ყვავილოვანი მცენარეები. პირველ ყვავილოვან მცენარეებში იყო ისეთებიც, რომელთა შთამომავლები დღესაც არსებობენ. ამ შემთხვევაში, აროგენეზი იყო ნასკვში არსებული დაფარული თესლკვირტი. მათი თესლი კარგადაა დაცული ნაყოფით.

გამეტოფიტისა და სპოროფიტის კავშირი (კემპბელი)



გამეტოფიტზე დამოკიდებული სპოროფიტი (ხავსები და სხვა ხავსნაირები). მათ სასიცოცხლო ციკლში დომინირებს გამეტოფიტი – არქეგონიუმიდან ამოზრდილ დამოუკიდებელ სპოროფიტს კვებავს გამეტოფიტი.

დიდი სპოროფიტი და პატარა დამოუკიდებელი სპოროფიტი (გვიმრები და სხვა უთესლო ჭურჭლოვანი მცენარეები). სპოროფიტი გაბატონებული თაობაა. გვიმრების უმეტესობის გამეტოფიტები მართალია პატარაა, მაგრამ ახდენს ფოტოსინთეზს და, კვების მხრივ, სპოროფიტზე არაა დამოკიდებული.



შიშველთესლოვნები და ფარულთესლოვნები. სპოროფიტზე დამოკიდებული რედუცირებული გამეტოფიტი. თესლოვან მცენარეთა გამეტოფიტები გარემოცულია სპოროფიტის ქსოვილით, რომლიდანაც გამეტოფიტი იღებს საკვებს. მათი გამეტოფიტი მიკროსკოპულია.



მცენარეთა წყლიდან ხმელეთზე გადასვლის სქემა

მინის რესურსები



მანანა სანიაშვილი გეოგრაფიის მასწავლებელი, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის გეოგრაფიის ტრენერი

როლოური თამაშები სწავლების აქტიური ფორმაა. ამ დროს მოსწავლეები არა მხოლოდ გონებრივად, არამედ ფიზიკურადაც აქტიურები არიან.

როლოური თამაშების გამოყენების დადებითი მხარეებია:

- თამაშში მონაწილე ყოველთვის ხალხით ერთვება;
• თამაშში მონაწილეობა ინტერესსა და ენთუზიაზმს იწვევს მოსწავლეებში;
• მონაწილეები უკუკავშირის მაშინვე იღებენ.

როლოური თამაშის ახლავს შემდეგი სირთულეები:

- როლოური თამაშები მოსწავლისა და მასწავლებლის მხრიდან მოითხოვს წარმოსახვის კარგად განვითარებულ უნარს;
• როლოური თამაშის დროს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის განვითარებულმა ურთიერთობამ შეიძლება ზედმეტად არაფორმალური ხასიათი მიიღოს, რამაც შეიძლება კლასის მართვასთან დაკავშირებული პრობლემები წარმოშვას.

ჯგუფის ყველა წევრი ჯგუფში შეიძლება ვერ გრძნობდეს თავს კომფორტულად, ადამიანებს ზოგჯერ უჭირთ დავალების სიმულაცია, ემოციებისა და დამოკიდებულებების სხეების თანდასწრებით თავისუფლად გამოხატვა.

ვინაიდან როლოური თამაშის დროს განსხვავებული აზრები წარმოიშობა, შეიძლება ჯგუფის წევრებმა ერთმანეთს ვერ გაუგონ და ჯგუფის წევრებს შორის ნეგატიური ურთიერთგანწყობა წარმოიშვას;

როლოური თამაშების ჩატარება ძნელია დიდ ჯგუფებთან. გთავაზობთ მე-9 კლასის შემაჯამებელი გაკვეთილის გეგმას - მინის რესურსები.

გაკვეთილის მიზნები: საქართველოს ჰავისა და ნიადაგების აღწერა და სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციასთან დაკავშირება; საქართველოს მინის რესურსების სტრუქტურის გაცნობა, გაანალიზება და სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციასთან დაკავშირება.

რუკებისა და სხვა გეოგრაფიული საშუალებების გაანალიზება და ინტერპრეტაცია; ინფორმაციის გაანალიზების უნარის განვითარება; მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის უნარის განვითარება; პრობლემის გააზრებისა და გადაჭრის უნარის განვითარება; გარემოზე პასუხისმგებლობის უნარის განვითარება; პრეზენტაციის უნარის განვითარება.

შედეგები:

გეო. IX. 1. მოსწავლე, რუკებისა და სხვა გეოგრაფიული საშუალებების (ფოტოები, გრაფიკები, ცხრილები, დიაგრამები და სხვ.) დახმარებით, ახასიათებს ადგილს, მოვლენასა და პროცესებს, ადგენს თემატურ რუკებს;

გეო. IX. 2. მოსწავლე ახასიათებს და აანალიზებს საქართველოს ბუნებრივ პირობებს;

გეო. IX. 3. მოსწავლე უკავშირებს საქართველოს ძირითად ბუნებრივ და ანთროპოგენურ ლანდშაფტებს, მათ სამეურნეო გამოყენებას.

რესურსები:

საქართველოს ფიზიკური რუკა, საქართველოს ნიადაგების რუკა, საქართველოს რეგიონების რუკა; ფორმატის ქალაქები, ტექსტი: საქართველოს მინის რესურსები; დიაგრამები; მარკერები; IX კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელო.

აქტივობა №1. გამოწვევა - 5წთ.

მასწავლებელი დაფაზე წერს - „მინის რესურსები“. ივსება ასოციაციური რუკა.



აქტივობა №2. როლოური თამაში; 20წთ.



მასწავლებელი ანანილებს როლებს: კლასს ყოფს 4-5 კაციან ჯგუფებად. ერთი იქნება „ბიზნეს ჯგუფი“, დანარჩენები წარმოადგენენ კონკურსში მონაწილე ორგანიზაციებს, რომლებიც იმუშავენ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტზე (სურვილისამებრ ირჩევენ სახელებს). თითოეულ ჯგუფს ურიგდება სხვადასხვა სახის რესურსი (დიაგრამები, რუკები, ტექსტები მინის რესურსებზე). „ბიზნეს

ჯგუფი“ ადგენს შეფასების კრიტერიუმებს, მან უნდა გამოავლინოს გამარჯვებული პროექტები, რომლებიც დაფინანსდება შესაბამისად (10 000\$, 9 000\$ და 8 000\$).


პროექტზე მუშაობისას გასათვალისწინებელი პრიორიტეტები: 1. მინის კადასტრი; 2. ნიადაგების გეოგრაფია; 3. მინის ფონდის სტრუქტურა; 4. აგროკლიმატური დარაიონება; 5. ნიადაგების სტრუქტურა; 6. ნიადაგის დაცვა. (ექსპერტთა ჯგუფი პროექტებს ამ პრიორიტეტების მიხედვით აფასებს).

წყაროები: 1. ზოგადი ინფორმაცია


საქართველო მცირე მინიანი ქვეყანაა. მისი ტერიტორია (ტერიტორიული წყლების გარეშე) 69,7 ათასი კმ²-ია. აქედან, 2005 წლის მდგომარეობით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი 30,2 ათას კმ²-ს შეადგენს, საიდანაც სამინათმოქმედო მინებს (სახნავ მინებს და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო ნარგავებით დაკავებულ მინებს) სულ 10,7 ათასი კმ² უჭირავს.



2. საქართველოს ნიადაგების სტრუქტურა: იურიდიული სტატუსის მიხედვით, მინები საქართველოში იყოფა სასოფლო-სამეურნეო (40%) და არასასოფლო-სამეურნეო მინებად (60%). ეს უკანასკნელი კატეგორია მოიცავს სახელმწიფო და მუნიციპალური ტყეების (ტყის ფონდის) ტერიტორიას, დაცულ ტერიტორიებს, წყლით დაკავებულ მინებს (წყლის ფონდს), ურბანიზებულ და სამრეწველო ტერიტორიებს, აგრეთვე ვეებითა და სხვა ინფრასტრუქტურული ნაგებობებით დაკავებულ ტერიტორიებს. საქართველოს მინების კატეგორიებად დაყოფა ასახულია დიაგრამებზე.




3. ნიადაგების ტიპები:




4. საქართველოს მინის რესურსების დაყოფა გამოყენების თვალსაზრისით:

გამოყენების თვალსაზრისით, საქართველოს მინის რესურსები იყოფა სამ ნაწილად: სამინათმოქმედო ტერიტორია, ბუნებრივ-სამეურნეო ფართობი (ტყე, ბუნქარი, სათიბ-სადოვრები), სოფლის და სატყეო მეურნეობაში გამოყენებული მინები.



5. ნიადაგების ვარგისიანობა საქართველოს ნიადაგური რესურსი სასოფლო-სამეურნეო ნარგავებისთვის საკმაოდ შეზღუდულია. ქვეყნის ტერიტორიის 65-70%-ს მოიცავს ნიადაგები, რომლებიც მცენარისთვის საჭირო საკვები ელემენტებით ღარიბია.



6. ვერტიკალური ზონები:

- I ზონა (ზღვის დონიდან 250 მ-მდე) - უპირატესად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს მრავალწლიანი სუბტროპიკული კულტურები (ციტრუსები, ჩაი, დაფნა).
II ზონა (250-500მ) - მებაღეობა-მეცხოველეობის, მევენახეობის, ინტენსიური მემინდვრეობის (ძირითადად სიმინდის) გავრცელების არეალი.
III ზონა (500-1000მ) - ჭარბობს თავთავიანი კულტურები, ბუნებრივი საკვები სავარგულები, მეცხოველეობა.
IV ზონა (1000-1500მ) - ძირითადად სათიბ-სადოვრებია, მემინდვრეობა სუსტადაა განვითარებული.
V ზონა (1500-2000მ) - ძირითადად სათიბ-სადოვრებია.
VI ზონა (2000მ-ის ზემოთ) - მინათმოქმედება არ არსებობს.

აქტივობა №3. პრეზენტაცია - 10 წთ. მუშაობის დასრულების შემდეგ - პროექტების პრეზენტაცია აქტივობა №4. შეფასება - 10წთ. პრეზენტაციის შემდეგ „ბიზნეს ჯგუფი“ განიხილავს თითოეულ პროექტს, აფასებს და „აფინანსებს“ სამ გამარჯვებულს. დაფინანსება შეიძლება იყოს 10 000\$, 9 000\$ და 8 000\$.

- I პრემია - პროექტი განსაზღვრულია პრიორიტეტები:
1. ჩატარებულია მინის კადასტრი;
2. გათვალისწინებულია:
ა) აგროკლიმატური დარაიონება;
ბ) ვერტიკალური ზონალობა;
გ) მინებისა და ნიადაგების მდგომარეობა;
3. ნიადაგების დაცვის მიზნით, დაგეგმილია ნიადაგდაცვითი კონკრეტული ღონისძიებები.

პროექტის შეფასების რუბრიკა: - კარგად არის გამოკვეთილი მიზნები, მარტივად აღსაქმელია; - კვლევა სწორადაა დაგეგმილი, გამოყენებულია არაერთი წყარო; - ანალიზი სიღრმისეულია; - ჩამოყალიბებულია მკაფიოდ; - გასაგებადაა ჩამოყალიბებული პროექტის არსი, აუდიტორიაზე გათვლილი, ძირითადი იდეები გაშლილია, იყენებს თვალსაჩინოებებს და პასუხობს ყველა კითხვას.

- II პრემია - პროექტში მკვეთრად არ არის განსაზღვრული პრიორიტეტები:
1. ჩატარებულია მინის კადასტრი;
2. არ არის მკვეთრად გამოხატული:
ა) კლიმატური სარტყლები;
ბ) ვერტიკალური ზონალობა;
გ) მინებისა და ნიადაგების მდგომარეობა.
3. ნიადაგების დაცვის მიზნით დაგეგმილია ზოგადი ღონისძიებები.

მინის რისკის რეგისტრაცია

მეშვიდე გვერდიდან

გააზრებულია თანმიმდევრულობა, ორგანიზების ნიშნებით; ზოგი გადასვლა იდეებს შორის მარტივია, ზოგი – გაუგებარი.

- კვლევა დაგეგმილია, მაგრამ ჯგუფის პოტენციალი მთლიანად არ არის გამოყენებული; შეზღუდული რაოდენობის წყაროები გამოყენებული; ანალიზი მისაღებია;
- დასკვნები ჩამოყალიბებულია კვლევის ადეკვატურად, მაგრამ არ არის მკაფიო;
- ბუნდოვნადაა ჩამოყალიბებული პროექტის არსი; იყენებს თვალსაჩინოებებს; პასუხობს შეკითხვების უმეტესობას.

III პრემია – პროექტში არ არის მკვეთრად განსაზღვრული პრიორიტეტები:

1. არ არის ჩატარებული მინის კადასტრი;
2. არ არის მკვეთრად გამოხატული:
 - ა) კლიმატური სარტყლები;
 - ბ) ვერტიკალური ზონალობა;
 - გ) მინებისა და ნიადაგების მდგომარეობა.
3. არ არის დაგეგმილი ნიადაგდაცვითი ღონისძიებები. არ არის იდეებს შორის ლოგიკური ჯაჭვი, რაც აბნეებს მსმენელს. კვლევა არაეფექტურადაა დაგეგმილი, ანალიზი შედაპირულია; მცირე შემოქმედებითი ენერჯის დანახარჯი ჯგუფის მხრიდან; ეფექტურად არ არის წარმოდგენილი პროექტის არსი; უჭირს აზრის ჩამოყალიბება და პასუხების გაცემა, არ არის მიზნობრივად გამოყენებული თვალსაჩინოებები.

ედლებათ რეკომენდაცია:

1. დაუკავშირდნენ ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ ნიადაგის დაცვაზე;
2. მოძებნონ პარტნიორები სხვადასხვა ქვეყნებში;
3. მოიძიონ იფორმაცია საქართველოს განედებში მდებარე ქვეყნების მინის რესურსებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის შესახებ.

შეფასება:

- ფასდება ინფორმაციის მოძიების, კლასიფიცირების, ანალიზისა და სხვა სახით წარმოდგენის უნარი, ანალიზისა და დასკვნის გამოტანის უნარი, პრეზენტაციის უნარი;
- რუკებისა და სხვა გეოგრაფიული საშუალებების გაანალიზება და ინტერპრეტაციის უნარი.

პროფესიონალთა კლასი

პედაგოგი ნაფიჩხოვოლან

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უშუალო ინიციატივით, ახლახან, თბილისს ეწვია ცნობილი ამერიკელი ლინგვისტი **მაქსიმ პონდი**, რომელმაც დედაქალაქისა და რეგიონის მალაპროფესიონალი პედაგოგებისათვის სამდღიანი ტრენინგი ჩაატარა საგანგებო პროგრამის ტესტების განათლების ახალი დონის დამატარებელი სერტიფიკატების მინიჭებისათვის. ღონისძიებას ესწრებოდა და წარმატებით გაიარა პროგრამა ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტის ნაფიჩხოვოს თემის საჯარო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგმა **ნატო დარსალიამ**, რომელიც პროფესიული დოკუმენტისათვის უკანასკნელ წლებში დედაქალაქში ჩატარებული ბევრი მსგავსი პროგრამის მონაწილეა. სერტიფიცირებული და თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული ახალგაზრდა პედაგოგი

გასულ წელს ინგლისში, ლონდონში მიიწვიეს იქაური გამოცდილებისა და ბევრი სხვა ლინგვისტური სიახლის გასაცნობად. ინგლისში წასვლა, სამსუხაროდ, ვერ მოხერხდა, მაგრამ ინტერნეტკავშირები იქაურ სპეციალისტებთან პედაგოგს საშუალებას აძლევს, ბევრი რამ იმ თაობის მოთხოვნები გაიზაროს, საუკუნის მომდევნო ათწლეულებში რომ იცხოვრებენ და თავისუფლად აირჩევენ სასწავლებლად საზღვარგარეთის ქვეყნებს.

ამ ენის განსაკუთრებული სიყვარული, სკოლის წლებშივე, პედაგოგმა **ფატი ნაჭყეიამ** ჩაუნერგა. იგი არა მხოლოდ ენას, არამედ ინგლისის ისტორიას, ზნე-ჩვეულებებს და სახელოვან ადამიანთა ბიოგრაფიებს ასწავლიდა. საფუძვლიანი ცოდნით ნატომ წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგ-

დიდის ფილიალში უცხო ენის ფაკულტეტზე, ასევე წარმატებით დაამთავრა და თავად გახდა მოსწავლეთა საყვარელი მასწავლებელი.

ნაფიჩხოვოს თემის სამსაფეხურიანი საჯარო სკოლა, რომლის დირექტორი **თენგიზ ნაჭყეია**, სარეფორმო სიახლეთა დონეზე, ყველაფერს აკეთებს სწავლისა და სწავლების ფორმების დახვეწისათვის და შედეგებზე გათვლილი ინოვაციების დანერგვისათვის.

ნატო დარსალია ტრენერი მასწავლებელიცაა და კოლეგებს უშურველად გადასცემს იმ უნარ-ჩვევებს, რომელთა გამოყენება უცხო ენის სწავლების თანამედროვე ეტაპზე წარმატების და თანაც, დროული წარმატების მომტანია.

ახლა უკვე აღარაფერს უკვირს, ჩხორონწყუში და სასოფლო თემებში აქაური მოზარდები ინგლისურ ენაზე გამართულად რომ მეტყველებ-



ბენ და ნერენ, ზოგიერთი მათგანი საკონფერენციო და საოლიმპიადო თემებისათვის იწოდება თავს. ნატო დარსალია, მეუღლითა და ორი ვაჟით, საუკეთესო ოჯახის პატრონია, მაგრამ სკოლა, კოლე-

გებით და აღსაზრდელბით, მისთვის ის ცოცხალი ორგანიზაციაა, რომლის გარეშე საკუთარი თავი ველარ წარმოუდგენია.

ლია მარტაშვილი

ინფორმაცია

მასწავლებელთა გადამზადება სკოლის ბაზაზე

„ყოველი დიდი ხელმძღვანელი უეჭველად ასწავლის, ხოლო ყოველი დიდი პედაგოგი უეჭველად ხელმძღვანელობს... ყოველ ჩვენგანს უხილავს რაღაც ისეთი, რაც არ უხილავს სხვას და ყველა ეს რაღაც ცალკე აღებული, ნულის ტოლია. ითვლება მხოლოდ ის, რაც ყველას ერთად უხილავს“ (პოლ ვალერი).

ამ დღეობით ჩაიარა ოზურგეთის

№4 საჯარო სკოლაში „ლია კარის დღემ“, რომელიც რაიონის პედაგოგობას მოუხმობდა „გონების ქმედითობისთვის“ განკუთვნილ ღონისძიებაზე. საგანგებოდ გვეწვივნენ დედაქალაქის მასწავლებელთა სახლიდან პროექტის კოორდინატორი **მაია ინასარიძე** და მენეჯერი **ია ნამაღალიძე**. სტუმრებს შემოუერთდნენ რესურსცენტრის უფროსი **ლელა იმე-**

დაშვილი, ექსპერტი **მანანა ჯინჭარაძე**, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი **კოტე შარაშენიძე**, საკრებულოს თავმჯდომარე **ავთანდილ სურგულაძე**, ოზურგეთის რაიონის სკოლის დირექტორები, მასწავლებლები.

საკმაოდ დატვირთული გახლდათ სამუშაო გრაფიკი, გაკვეთილები ერთდროულად ხუთ კლასში ჩატარდა:

1. ინტეგრირებული გაკვეთილი მეოთხე კლასში
სამფაზიანი გაკვეთილის მოდელი და კითხვის სტრატეგიები მასწავლებლები: **ირმა კვაჭანტირაძე** – ქართული ენა, **ხათუნა ბაჯელიძე** – მუსიკა
2. რუსული ენის გაკვეთილი მეხუთე კლასში
კითხვის სტრატეგიები და სწავლების ინდუქციური მეთოდი გაკვეთილზე მასწავლებელი – **სვეტლანა სადრაძე**
3. მათემატიკის გაკვეთილი მერვე კლასში
მოსწავლეთა განვითარების უახლოესი ზონა და სკაფოლდინგი მათემატიკის გაკვეთილზე მასწავლებელი – **ინგა კოსტავა**
4. ქიმიის გაკვეთილი მეცხრე კლასში
სწავლება-გაგებისათვის – **აზროვნებაზე ფოკუსირებადი პროცესი** მასწავლებელი – **ნატალია ლუკაშევსკაია**
5. ინგლისური ენის გაკვეთილი მეექვსე კლასში
კულტურათა დიალოგი და საუბრის სტრატეგიები გაკვეთილზე მასწავლებელი – **ელენე ბურჭულაძე**
მეორე ეტაპი შემდეგ აქტივობებს დაეთმო:

ბებს დაეთმო:
ახლად გააზრებული მართვად-შეცნობადი პროცესი

1. იმპროვიზებული ინტეგრირებული გაკვეთილი სწავლების მესამე საფეხურზე და მონტესორის „სენზიტიური პერიოდი“
თემა – „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“
მასწავლებლები: **ქეთო სამსონია** – გეოგრაფია; **რებეკა გოგობერიძე** – ისტორია; **ელენე მარი** – ქართული ენა და ლექსერატურა
2. დაწყებითი კლასების მასწავლებელთა თანამშრომლობის ახალი ველი, ანუ სამფაზიანი გაკვეთილის მცირე პარადიგმები და უკუკავშირის ეფექტურობა
დანებებითი კლასების მასწავლებელთა კათედრის **ლია სხდომა** კათედრის გამგე – **ეკატერინე დარჩია**
3. ინტეგრირებული სადამრიგებლო საათი მეცხრე კლასში – როლური თამაშისა და სიმულაციის საშუალებით
მასწავლებლები: **ირინა ლლონტი** – ბიოლოგია; **მარინა დოლიძე** – სამოქალაქო განათლება
ნიკოლოზ პრომოშენი სასკოლო ბიბლიოთეკაში
მასწავლებლები: **ხათუნა ლომთაძე**, **ესმა ქირიკაშვილი**
4. თვითგანვითარების პროგნოზი – ესაა ახალი იდეისგან აღმოცენებული მეტი აზრი და სიღრმე, ხოლო **ჯამში** – უკეთესი ცოდნა რეფლექტიური მასწავლებლის, **ელენე ბურჭულაძის**, მიერ სასწავლო პროცესის მართვა და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.
ბჭობის დარბაზი
თანამაზრეთა განსჯის საგანი:

სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, მისი თეორიული მოსაზრება და პრაქტიკული მავალითება.

სკოლის დირექტორმა **ტარიელ კალანდაძემ** „ბჭობის დარბაზში“ ისაუბრა სკოლის პედაგოგთა პროფესიული განვითარების შესახებ, რამდენად არიან ისინი ჩაბმული ამ პროცესში, რას აკეთებენ პრაქტიკულად. ეს დღეც გახლდათ გამოძახილი პროექტისა – მასწავლებელთა გადამზადება სკოლის ბაზაზე, ე.წ. „შვიდკაცა“.

კმაყოფილებას ვერ მალავდა ქალბატონი **მაია ინასარიძე**, რომელმაც განაცხადა, რომ ძალიან ბევრი საგულისხმო და ყურადღასიანი აზრი მოისმინა, რომელთაც აუცილებლად გაუზიარებდა კოლეგებს. მოხილული იყო იმ პედაგოგთა ოსტატობით, რომელთა გაკვეთილებიც იხილა.

„ბაძავს სათნოებას და განერიდება ბინიერებას“ – მოსწავლეთა შემოქმედებითი ხედვის გათვალისწინებით მინი-კონცერტი.

შეხვედრის აპოთეოზი გახლდათ მოსწავლეთა კონცერტი, ნათელი დასტური იმისა, რომ ოზურგეთის მე-4 სკოლა ზრდის ნიჭიერ თაობას, რომელიც ღირსეულად აგრძელებს სვლას ნათელ, რთულსა და ძიებით აღსავსე გზაზე და მათი მეგზური ამავე სკოლის ინოვაციური, კრეატიული პედაგოგია...

ანა მინაბაძე
სსიპ ქალაქ ოზურგეთის
№4 საჯარო სკოლის
ქართული ენისა და
ლიტერატურის მასწავლებელი



გამოსვლით

სწავლება საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით

2014 წლის 22 თებერვალს, ევროპულ სკოლაში, მასწავლებელთა სასწავლო-მეთოდურ კონფერენციაზე ვიყავი მინვეული. კონფერენცია გაიმართა თემაზე – „საინფორმაციო ტექნოლოგიები სწავლება-სწავლის ხარისხის ამაღლებისთვის“.

250-მდე მსურველიდან კონფერენციაზე 72 მომხსენებელი მიგვიწვიეს. რეგისტრაციის შემდეგ სკოლა დაგვათავლიერებინეს. ევროსტანდარტებით მოწყობილი და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი კაბინეტების გარდა, ვნახეთ სპორტული დარბაზები, დავათვალიერეთ ხელოვნების სექციები, სადაც გამოფენილი იყო ბავშვთა ნამუშევრები, მდიდარი ბიბლიოთეკა და ტელეკაბინეტი. ყველაზე სასიამოვნო იყო მასპინძელთა თბილი, მეგობრული განწყობა, მათი უშუალო და თავმდაბლობა.

სკოლის დათვალიერების შემდეგ კონფერენცია გახსნა ევროპული სკოლის დირექტორმა ნანა მოსიძემ. მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა გია მამულაშვილმა. მათ ისაუბრეს ამგვარი კონფერენციების მნიშვნელობასა და სწავლება-სწავლის ხარისხის ამაღლებისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობაზე.

სექციური მუშაობა თორმეტ საათზე დაიწყო. ქართული ენისა და ლიტერატურის სექციაში 15 მომხსენებელი ვიყავით. მე წარვადგინე თემა – „ზმნის კონტაქტის ფორმათა მართლწერის სწავლება საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით“. მსმენელებს გააცანინე ჩემ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული გაკვეთილი. შესავლის შემდეგ ვისაუბრე გაკვეთლის მიზნებსა და შედეგებზე, რომელთა მიღწევაც შესაძლებელი გახდა იმ აქტივობებით, რომლებიც გაკვეთილზე განვახორციელებთ. პრეზენტაციის დასასრულს ყურადღება გავამახვილე მიღწეულ შედეგებსა და შეფასებაზე.

ყველა პრეზენტაცია გამორჩეული და საინტერესო იყო. ყოველი გამოსვლის შემდეგ განვიხილავდით წარდგენილ საკითხს, ვსვამდით შეკითხვებს თემის ირგვლივ. დღე შეუმჩნეველად გაივლია, საღამოს კონფერენციის მუშაობა შეაჯამეს პლენარულ სხდომაზე და მონაწილეებს სერტიფიკატები გადამოგვცეს.

დიდ მადლობას ვუხდით კონფერენციის მესვეურებს ამ დიდი უფასო დღისათვის. აქვე, გამოცდილების გაზიარების მიზნით, მინდა შემოგთავაზოთ ჩემი საკონფერენციო თემა.

ზმნის კონტაქტის ფორმათა მართლწერის სწავლება საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით

შესავალი: როდესაც ქართულის მასწავლებლები გეგმავენ ინტეგრირებულ ან სამოდელო გაკვეთილს, უპირატესობას,

თითქმის ყოველთვის, ლიტერატურას ანიჭებენ. ხშირად ყურადღების მიღმა რჩება ენის საკითხები, რომელთა ცოდნა და პრაქტიკაში რეალიზება აუცილებელია იმისათვის, რომ ბავშვებმა შეიძინონ სწორად წერისა და მეტყველების ელემენტარული უნარ-ჩვევები. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ყურადღება გამამახვილებინა გრამატიკულ საკითხზე, კერძოდ, ზმნის კონტაქტის ფორმათა რაობასა და მართლწერაზე. აღნიშნული საკითხის ცოდნა ბავშვებს ეხმარება თავიდან აიცილონ მთელი რიგი შეცდომები, რომლებიც შეიძლება დაუშვან კონტაქტის ფორმათა სუფიქსების არასწორად გამოყენებისას.

მეთოდისა და პროცესის მოკლე აღწერა: უპირველეს ყოვლისა, გადავწყვიტე გაკვეთილი დამეგეგმა და განმეხორციელებინა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. ასე პროცესი გაცილებით საინტერესო გამოვიდოდა, მაღალი იქნებოდა ბავშვთა მოტივაციაც. ეს კი, თავის მხრივ, მოსწავლეთა ჩართულობას უზრუნველყოფდა საგაკვეთილო პროცესში.

გაკვეთილის დასაწყისში შევუდექი წინასწარ მომზადებული მასალის (Power Point) წარდგენას, გავააქტიურე ბავშვების წინაშე ცოდნა, კლასი ჯგუფებად დავყავი, ვთხოვე გაემზადებინათ ცხრილი „ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე“ ფორმის ფაილში და შევესოთ პირველი ორი გრაფა. აღმოჩნდა, რომ ჩემი მოლოდინი ბავშვთა ჩართულობასა და მოტივაციასთან დაკავშირებით გამართლდა. ბავშვები არა მარტო აქტიურად იყვნენ ჩართული, არამედ ხალისით უზიარებდნენ ერთმანეთს ცოდნას და ცდილობდნენ დახმარებოდნენ ერთმანეთს ხარვეზების დაძლევაში.

ჩემი პრეზენტაციის დასასრულს ბავშვებს წინ ჰქონდათ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აქტივობა – უნდა შესრულებინათ

დავალბა, რომელიც მათ კომპიუტერებში წინასწარ განვითავებ. დავალბების მოძებნით, ვორდის ფაილში მუშაობით, მათ განიმტკიცეს კომპიუტერთან მუშაობის ელემენტარული უნარები. სამწუხაროდ, ყველა მათგანს ხელი არ მიუწვდებოდა კომპიუტერსა და ინტერნეტზე, ამიტომ გაკვეთილზე ამ კუთხით მუშაობა მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

უკვე შესრულებული დავალბებისა და შევსებული ცხრილის „ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე“ შეფასებისას გავითვალისწინე ბავშვების ჯგუფში მუშაობის, ჩართულობისა და დავალბების შესრულების ხარისხი.

შედეგი: თვალსაჩინოების დახმარებით ბავშვებისათვის იოლი და საინტერესო აღმოჩნდა დამეხსოვრებინათ შუალოებითი კონტაქტის სუფიქსთა მართლწერა. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, მათ ხალისით შეასრულეს დავალბები, განიმტკიცეს და დახვეწეს კომპიუტერთან მუშაობის უნარები, თანამშრომლობდნენ და უზიარებდნენ ერთმანეთს ცოდნასა და გამოცდილებას.

დასკვნა: ამგვარად დაგეგმილი და განხორციელებული გაკვეთილი არა მარტო საგნობრივ ცოდნასა და კომპეტენციებს სძენს მოსწავლეს, მას უყალიბდება თანამშრომლობითი სწავლის, ჯგუფთან მუშაობის, კომუნიკაციის, პასუხისმგებლობის უნარები. იგი ეწყვევა კომპიუტერთან მუშაობას, რაც ასე აუცილებელია 21-ე საუკუნის სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბებისათვის.

თამარ კობახიძე
ბოსტანის საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის



პროექტები – „დარბაზი შენი მოგავალი“ და „დედამინის დღე“

ბუნების დაცვა გამოცხადებულია სახელმწიფო საქმედ, ე.ი. ჩვენ საქმედ. რადგან ადამიანი ბუნებას სათანადოდ ვერ უფლის, ეკოლოგიური მდგომარეობა დღით დღე უარესდება. საჭიროა ადამიანთა მეტი ჩართულობა ბუნების მოვლისა და გადარჩენის საქმეში. მივიჩნე, რომ ჩემი, როგორც მასწავლებლის, საკუთებელი ამ საქმეში ბავშვთა ინფორმირებაა. დავინყე იმით, რომ მოვიძიე სასაუბრო მასალა ეკოლოგიაზე. მათთვის გასაგებ ენაზე ჩავატარე საუბრები ჯანმრთელი ცხოვრების წესზე, წყალზე, ჰაერზე, მზეზე, მცენარეებზე, ცხოველებზე, ბუნებრივი რესურსების სწორად და რაციონალურად გამოყენებაზე. ერთი მოვლენის ცვლილება ზოგჯერ დამლუპველად მოქმედებს მეორეზე, მაგალითად: ტყის გაჩეხვა იწვევს ჭანჭანის ნაკლებობას, მდინარეში წყლის რაოდენობის შემცირებას, ნიადაგის გამოშრობას, ქარების სიხშირეს, მოუსავალიანობას.

ჩემმა საუბრებმა ბავშვებში დიდი ინტერესი გამოიწვია და მეც მეტი სტიმული მომეცა ამ კუთხით მუშაობის გასაღრმავებლად. ბავშვებისაგან მოდიოდა ძალიან საინტერესო კითხვები და მოსაზრებები. ჩემს კითხვაზე, თუ რა სარგებელს გვაძლევს ხე, გვპასუხობდნენ, რომ გვაძლევს ფანგბადს, ნაყოფს, ჩრდილს, სიღამაზეს, სამშენებლო მასალას, ავეჯს, წიგნებს, შეშას და ა.შ. მათმა მზაობამ განმაცვიფრა. ჩემს კითხვაზე, თუ რას ვაკეთებთ ბუნებისათვის და კერძოდ კი ხეებისათვის, მათგან პასუხი ვერ მივიღე. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში – „დარბაზი შენი მოგავალი“ – მთავარ მიზნად დავისახე ბავშვთა ცნობიერების ამაღლება, ბუნების სიყვარულისა და პატივისცემის გაძვივება, ზრუნვისა და მოვლის ელემენტების ათვისება, ბუნებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება. ერთობლივი საუბრებით მივედით იმ დასკვნამდე, რომ ხეს უნდა მოვურება, მორწყვა, მოვლა და ისიც არ დაავიწყებინა საპასუხო სიკეთეს. ბავშვებმა აიღეს ინიციატივა – მოუ-

რონ ბუნებას და სხვებსაც მოუწოდონ ამისაკენ. იღეს განხორციელების მიზნით, პროექტი გააცანინა სკოლის დირექტორს, ბატონ ვალერიანს. მან მიიწვინა და ყველანაირი დახმარება აღმოვიპოე.

პროექტი „დარბაზი შენი მოგავალი“ მოიცავს სამ ძირითად ეტაპს:

- 1. საუბრები თემის გარშემო (რომელზეც ზემოთ ვისაუბრე);
- 2. ვიზუალური მასალის ჩვენება სლაიდ-შოუს დახმარებით;
- 3. უშუალოდ ბუნებასთან შეხება, ბუნებაში გასვლითი აქტივობა – ხეების დარგვა სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეების, მშობლების, სტუმრებისა და დირექციის უშუალო ჩართულობით.

პროექტი „დედამინის დღე“ მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- 1. ბავშვებმა სკოლის ეზოში ცარცით დახატეს დედამინა;
- 2. გაუშვეს საპაეო ფრანი;

3. შეიქმნა მწვანე ყუთი, სადაც ვაგროვებთ მაკულატურას, შემდეგ ვცვლით სიმბოლურ ნერგებში და ნერგებით ვიძენთ ახალ წიგნს.

პროექტის მზადების პერიოდში მივმართე არასამთავრობო ორგანიზაციას – ფსიქოკორექციასა და ფსიქოდიანოსტიკის სახლს „დენდრონი“, რომლის წევრიც ვახლავართ. გააცანინე ჩემი ორივე პროექტის მიზანი, ვთხოვე დახმარება და თანადგომა. მათ მიიწვიეს ჩემი ხედვა და უშუალოდ ჩაერთვნენ კიდევ. „დენდრონი“ პროექტისათვის შეიძინა სხვადასხვა ნერგი და გვარჯუა.

21 აპრილს დაიწყო ეკოლოგიური კვირეული – მოსწავლეებთან საუბრები ბუნების მოვლა-პატრონობაზე, დედამინის დღის აღნიშვნა-დაცვაზე. 23 აპრილს გაიმართა სლაიდ-შოუს ჩვენება, ხოლო 28 აპრილს კი, ამ პროექტის გაგრძელება იყო ხეების დარგვა სკოლის ეზოში და „დედამინის დღის“ აღნიშვნა სკოლის ეზოს მოხატვა, რომელსაც ესწრებოდნენ: სკოლის დირექტორი ვალერიან გიორგაძე, ორგანიზაცია „დენდრონი“ დამფუძნებელი ფსიქოთერაპევტი მია ბეგაშვილი, ფსიქოლოგი ლელა არღვლიანი, ფსიქოლოგები – მარი მესხიძე და თეკო თარხნიშვილი, მშობლები და ჩემი 14 კლასის მოსწავლეები.

მოსწავლეების აქტივობასა და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ძალიან მოეწონათ მიწასთან ურთიერთობა, ნერგებისთვის ორმოების მომზადება, ნარგავების მორწყვა, სკოლის ეზოს მოხატვა, საპაეო ფრანის გაშვება. იაქტიურეს მშობლებმაც, ზოგიერთმა ცხოვრებაში პირველად დარგო ხე და მონაწილეობა მიიღო დედამინის დღის აღნიშვნაში.

ნინო ჯონაძე
სსიპ ქალაქ თბილისის
№60 საჯარო სკოლის
1⁴ კლასის
ხელმძღვანელი



სასკოლო აქტიურობა

ჩვენი მომავალი ბიზნესი

სულ ცოტა ხნის წინ, თბილისის 166-ე სკოლაში (დირექტორი - ირმა ომანაძე) მოეწყო ბავშვთა კონფერენცია თემაზე - ჩემი მომავალი ბიზნესი. ეს გახლდათ ინოვაცია, როდესაც პირველად საქართველოში, სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს საკუთარი ხედვები, როგორ შეიძლება დაიწყოს ბიზნესი, რა არის საჭირო მისი განვითარებისათვის.

კონფერენციის ინიციატორი, ავტორი და ხელმძღვანელი ეკონომიკის დოქტორი, ინჟინერ-გეოლოგი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბატონი ვაჟა კაკაბაძეა. კონფერენციის მიზანი მოსწავლეებში აბსტრაქტული აზროვნების უნარის განვითარებაა.

ეკონომიკა დაკავშირებულია ინტელექტუალური ცოდნის გამოყენების, განჭვრეტის დიდ უნართან. კონფერენციაში მონაწილემ შეიძინა ეკონომიკური საქმიანობის წარმოსახვის უნარი, მოკლე დროში და ინფორმაციის საფუძველზე დასკვნის გაკეთება, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და ანალიზის შესაძლებლობა, ორიგინალური იდეების გენერირების (შემოქმედების) და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების პრაქტიკული უნარჩვევები, საქმიანი წამოწყების და ინიციატი-

ვის საკუთარ თავზე აღების, პრობლემის იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარი.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოზარდის პროფესიული არჩევანის გაკეთებას. როგორც საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს ბიზნესისა და მედიცინის აკადემიის რექტორი, საქართველოს საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ლინკოლნის (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორი, ბატონი გარი ჩაფიძე თავის ერთ-ერთ სამეცნიერო ნაშრომში - „არატრადიციული ვაკეინოლები“ - აღნიშნავს: „მეფანი და მეფანი ბეჯითი, ჭკვიანი, დამჯერი ბავშვია, ხოლო მეორე - ზარმაცი და ჯიუტი. საჭიროა შესწავლილი იქნეს სწორედ ის, თუ რატომ არიან ზოგნი ისეთნი, ზოგნი ასეთნი. საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორ ყალიბდება პიროვნება. თუ პედაგოგი დაეხმარება მოზარდს აითვისოს ჩვენი საზოგადოებისთვის მისაღები სოციალური ნორმები და ღირებულებანი, მაშინ აღზრდის პროცესში არსებული ბევრი სიძნელე მოიხსნება და ახალგაზრდაც შეძლებს უმტკივნეუ-

ლოდ, უკონფლიქტოდ მონახოს თავისი ადგილი ცხოვრებაში და იოლად გადალახოს თვითდამკვიდრების პროცესი. ცხადია, ღირსეულ მოქალაქედ აღამიანის ჩამოყალიბებაში პრიორიტეტი პედაგოგიკის მეცნიერებას ეკუთვნის“.

კონფერენციაზე თემები წარმოადგინეს: ანი სისორიამ, იოსებ ხარშილაძემ, თამარ ლაფაურმა, მარიამ გორდულაძემ - 166-ე საჯარო სკოლა; სალომე კაკაბაძემ, ანა ბაკურაძემ - 155-ე სკოლა; თინათინ კუჭუხიძემ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა, ბესარიონ ხუჯაძემ - 169-ე სკოლა.

კონფერენციას ესწრებოდნენ: ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი ზოია ადამია; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი დიმიტრი ჯავახიძე; ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ჟურნალ „ეკონომიკის“ რედაქტორი რევაზ შენგელია; RMG ჯგუფის ოფისმენეჯერი და სოხუმის უნივერსიტეტის დოქტორანტი ნანა მაისურაძე; ახალგაზრდული ორგანიზაცია სკაუტის წევრი და სას-

მშობელთა კრება

მეტყველების დარღვევითა კორექცია

სწორი, ლამაზი, გამართული მეტყველება გარეგნობაზე არანაკლებ როლს ასრულებს ადამიანის წარმატებასა და პროფესიულ წინსვლაში. ეს აზრი ახალი ნამდვილად არ გახლავთ, ეს ყველაფერი მშვენიერად იცოდნენ ანტიკურ ეპოქაშიც, როდესაც ორატორული ხელოვნების დაუფლება არისტოკრატთა განათლების განუყოფელი ნაწილი იყო. მეტყველება თავის ტვინის ფუნქციაა, რომელიც ადამიანთა შორის კომუნიკაციის უმთავრეს საშუალებას წარმოადგენს.

არსებობს ფაქტორები, რომლებიც არღვევენ მართლმეტყველების უნარს და სხვადასხვა ტიპის მოშლილობათა განვითარებას უწყობს ხელს. ამ დარღვევითა გამოსწორება მეტყველების თერაპიის საშუალებით უმეტესად შესაძლებელია, თუმცა არსებობს მდგომარეობანი, როდესაც მეტყველების ფუნქციის აღსადგენად საჭიროა მკურნალობის პროცესში ნევროლოგისა და ფსიქოლოგის აქტიური ჩარევა. მეტყველების რა ტიპის დარღვევებია ყველაზე ხშირი და რა გზით შეიძლება მათი გამოსწორება, ამის შესახებ მეტყველების განვითარებისა და კორექციის ცენტრ „ალოგომედის“ ექიმი ვაჟა ჭავჭავაძე გვესაუბრება:

- მეტყველების ყველაზე გავრცელებული მოშლილობა დისლალია - მდგომარეობა, როდესაც ადამიანი საერთოდ ვერ წარმოთქვამს ან თუ იმ ბგერას ან წარმოთქვამს დამახინჯებულად, უსუფთაოდ. დისლალიას განეკუთვნება მდგომარეობებიც, როცა ადამიანი რომელიმე ერთ ბგერას ყოველთვის ანაცვლებს მეორე ბგერით, მაგალითად ხშირია რ-ლ-ს დიფერენცირების დარღვევა, გ-დ, კ-ტ და ქ-თ ბგერათა ერთმანეთის ნაცვლად გამოყენება. რაც შეეხება უსუფთაო წარმოთქმას, ამ კუთხით ყველაზე ხშირია სიგმატიზმი - შიშინა და სისინა ბგერების დარღვევა, აგრეთვე როტაციზმი, როდესაც ადამიანი ვერ წარმოთქვამს ბგერა რ-ს და ლამ-ბდაციზმი - ლ ბგერის წარმოთქმის დარღვევა.

რა გზით არის შესაძლებელი ამ დარღვევითა გამოსწორება?

- მეტყველების თერაპიის დაწყებამდე აუცილებელია პაციენტის პირის ღრუსა და სარტიკულაციო აპარატის საგულდაგულო დათვალიერება, შემოწმება. ზოგჯერ ბგერათა უსუფთაო წარმოთქმა სწორედ სარტიკულაციო აპარატითაა პროვოცირებული, ანუ ენის, სასის, ხაზის თანდაყოლილ პათოლოგიებს, არასწორ თანკიბილვასა და სხვა ორთოდონტიულ ან ნევროლოგიურ პათოლოგიებს უკავშირდება. თუ დარღვევა ამ ტიპის მიზეზითაა პროვოცირებული, ჯერ ის უნდა გამოსწორდეს და მხოლოდ ამის შემდეგ ჩატარდეს მეტყველების თერაპია. თუ მსგავსი რამ გამოირიცხულია, პირდაპირ იწყება ბგერის კორექცია, რომელიც ტარდება რამდენიმე ეტაპად. პირველი ეტაპი - მოსამზადებელია, იგი მიზნად ისახავს სარტიკულაციო აპარატის მომზადებას ბგერის წარმოსათქმელად და მოიცავს ენის, ტუჩების, ყბების ვარჯიშებს. მეორე ეტაპი სწორი არტიკულაციის ვაცნობაა, რომელიც თითოეული ბგერისთვის მკაცრად განსაზღვრულია. ამ ეტაპზევე ხდება ბგერის

სმენითი განსხვავება, ანუ პაციენტმა კარგად უნდა დააფიქსიროს, თუ რა ტიპის ბგერის მიღწევას აუცილებელი. იმ შემთხვევაში, თუ შედარებით მაღალი ხარისხითაა გამოხატული სარტიკულაციო აპარატის მოდუნება ან პირიქით ჰიპერტონუსი, დამხმარე მეთოდის სახით ვატარებთ ენის, ტუჩებისა და ყბების როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ (აპარატივ) მასაჟს. ბგერის სმენითი აღქმის გასაძლიერებლად გამოიყენება ელექტროფულესთერაპია, რათა დაჩქარდეს ბგერის დაყენება. მესამე ეტაპი უშუალოდ ბგერის დაყენება და იგი მაშინ სრულდება, როდესაც პაციენტი შეგებულად, დაფიქრებით ახერხებს ბგერის სწორად წარმოთქმას. შემდეგ იწყება ბგერის ავტომატიზაციის ეტაპი, როდესაც უკვე დაყენებული ბგერა საუბრისას სიტყვებში, ფრაზებასა და წინადადებებში უნდა ჩამაგრდეს, რის შემდეგაც პრობლემა დაძლეულად მიიწევა.

- საშუალოდ რამდენი ხანი სჭირდება დისლალიის მკურნალობას და როდის არის რეკომენდებული მისი დაწყება?

- სასურველია, ბგერათა არასწორი წარმოთქმის კორექცია მოხდეს სკოლამდე ასაკში, რათა პატარას თავიდან აეცილოს სკოლაში არასწორი წარმოთქმით გამოწვეული უამრავი როგორც აკადემიური, ისე ფსიქოლოგიური სტრესი. განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ მართალია ბგერათა არასწორი წარმოთქმა ჯანმრთელობას საფრთხეს არ უქმნის, მაგრამ მას შეუძლია, ბავშვს მიიმე ფსიქოლოგიური ტრავმა მოაყენოს, შეაფერხოს მისი განვითარება და პროფესიული წინსვლა, ამიტომ უმჯობესია, მოშობილია, შეამჩნივეთ თუ არა შვილს ამას, მიმართონ მეტყველების თერაპევტს, რადგან ადრეულ ასაკში ნებისმიერი ტიპის დისლალიის აღმოფხვრა, თუ იგი თანდაყოლილი პათოლოგიით არ არის გამოწვეული, შესაძლებელია 3-6-თვიანად, მაშინ როდესაც მობრდილ ასაკში მკურნალობის ხანგრძლივობა რამდენჯერმე იზრდება და შედეგაც ყოველთვის სასურველი როდია.

- დისლალია თითქმის ყველა სმენადაქვეითებულ ბავშვის პრობლემაა თუ არსებობს განსხვავებებიც კორექციის კუთხით?

- სმენის დაქვეითებით პროვოცირებული დისლალიის მქონე პირებში მეტყველების თერაპიის ატარებას სურდოლოგი და ნამდვილად არსებობს განსხვავება, რამდენადაც სმენის მაღალი ხარისხით დაქვეითებისას ბგერის დაყენება ხდება დამატებითი ფსტიკულაციის და სენსორული ელემენტების გამოყენებით. ზოგჯერ ბავშვს საერთოდ არ აქვს სმენა, მაგრამ სურდოლოგის დახმარებით იგი ახერხებს ბგერის სწორ წარმოთქმას ისე, რომ მას სმენით არ აკონტროლებს.

- როგორც მშობლები, ისე ბავშვები განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამენ ენის ბორძიკს - ლოგონევროზს. ამ შემთხვევაში თუა შესაძლებელია მდგომარეობის გამოსწორება?

- არცთუ შორეულ წარსულში ლოგონევროზების მკურნალობას ცდილობდნენ ე.წ. ლოგოპედიური ხერხებით, რომლებიც ითვალისწი-

ნება სამეტყველო ე.წ. დიქციური სუნთქვის დაყენებას, კითხვისა და თხრობისა და გარკვეულ რეკომენდაციათა შესრულებას. თანამედროვე ხედვა ამ დარღვევის მიმართ რადიკალურად შეიცვალა. მთელ მსოფლიოში ლოგონევროზი განიხილება, როგორც სამედიცინო პრობლემა, კლინიკური სიმპტომი, რომელიც მეტყველების თერაპიასთან ერთად მოითხოვს სხვადასხვა ტიპის სამედიცინო მეთოდების გამოყენებას. ამ მხრივ, საუკეთესოა კომპლექსური თერაპია, რომელიც ითვალისწინებს ენის ბორძიკში მოწინავე ყველა შესაძლო რგოლის დარღვეული ფუნქციების სრულ ან ნაწილობრივ აღდგენას. საუბარი შეიძლება შეეადაროთ აისბერგს, რომლის მხოლოდ ერთი მესამედი მოჩანს, ორი მესამედი კი წყალქვეშ არის, უხილავია. სწორედ ასეა მეტყველებაც. ის, რაც ჩვენს გვესმის, მეტყველების, როგორც ფუნქციის, მხოლოდ ერთი მესამედი. დანარჩენი ორი თავის ტვინის ქერქქვეშ მოტოვებული, ამიტომ კომპლექსური მეთოდით მკურნალობა იწყება სუნთქვითი ვარჯიშებით, აუცილებელია მოწესრიგდეს საუბრისას ჰაერის საჭირო რაოდენობისა და ინტენსივობის ნაკადით მომარაგება, რადგან ჰაერი მეტყველების ერთგვარი საწვავია. ამისთვის გამოიყენება სუნთქვითი ვარჯიშების სპეციალურად მოგონებების სამკურნალოდ შემუშავებული სისტემა. მეტყველებაზე პასუხისმგებელი ქერქქვეშ ცენტრების სინქრონული მუშაობის მიღწევა შესაძლებელია კომპიუტერული კორექციით, არსებობს სპეციალური კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს ამ ცენტრების მუშაობის ერთ რეჟიმში გადაყვანას, რათა მეტყველება იყოს თანაბარი, ლალი, რიტმული. მნიშვნელოვანია სამეტყველო სუნთქვის დაყენებაც. შესაძლოა, ადამიანმა მშვენიერად იცოდეს სახლის აენება, მაგრამ ვერ შეძლოს ეს ძლიერ ქარიან ან წვიმიან ამინდში. ანალოგიურად, თუ პაციენტის ნერვული ფონი მშვიდი არ არის, შედეგის მიღწევა რთულდება, ამიტომ ნერვულ სისტემაში აგზნების გასაქრობად ტარდება ფიზიოთერაპია და სხვა ტიპის სარელაქსაციო მანიპულაციები, რომელიც, პაციენტის ასაკის და დარღვევის კლინიკური ფორმის შესაბამისად, ინდივიდუალურად უნდა შეირჩეს. დაახლოებით 8-10 წლის ასაკამდე ბავშვებს, ენის ბორძიკთან დაკავშირებით, ფსიქოლოგიური პრობლემები არ აწუხებთ, სამაგიეროდ ეს დიდი დოზით არის გამოხატული შედარებით მოზრდილი ასაკის პაციენტებში, შესაბამისად მათთვის საჭიროა ფსიქოთერაპიის ელემენტების გამოყენებაც. საკმაოდ ხანგრძლივი, ძლიერი და ქრონიკული მიმიკური თუ სხვა ტიპის სარტიკულაციო კუნთების სპაზმები, რაც დამახასიათებელია ლოგონევროზისთვის, იწვევს მათი ტონუსის ცვლილებას, ამის გამოსაწორებლად რეკომენდებულია სარტიკულაციო აპარატის ვიბრომასაჟი. დაუშვებელია ლოგონევროზის დროს ენის პირდაპირი დამასაჟება, რადგან ამან შესაძლოა მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულოს.

- ბევრი სპეციალისტი ლოგონევროზს განუ-

წავლო უნივერსიტეტის „გორგასალი“ მაგისტრი ნინო შადური; 116-ე, 169-ე, 155-ე და 166-ე საჯარო სკოლების დირექტორები.

უდავოდ დიდი საქმე გაკეთდა. მოსწავლეებმა საკმაოდ მაღალ დონეზე წარმოადგინეს საკუთარი ნამუშევრები საზოგადოების წინაშე, რაც ბატონ ვაჟა კაკაბაძის განულო შრომის შედეგია და რაც ხელს უწყობს მოსწავლის სამოქალაქო და პიროვნული ეთიკური შეგნების საფუძველზე ქვეყნის უნარის ჩამოყალიბებას.

სოციალიზაციის პროცესზე ყურადღებას ამახვილებს პოლონელი სოციოლოგი იან შჩეპანსკი, რომლის თვალსაზრისით, ამ პროცესის არსი ინდივიდის მიერ ცოდნისა და კულტურის ათვისებაა, რისი წყალობითაც ადამიანი იღებს შესაძლებლობას, გაიგოს ეს კულტურა და მის ჩარჩოებში შეგნებულად იმოქმედოს.

სასურველი იქნებოდა, ამ წამოწყებას სხვა სკოლებმაც მიბაძონ. ვაჟა კაკაბაძე მზადაა, ყველას დაეხმაროს ამ მიმართულებით.

ქათიანან ტრიპოლსკი
ქართულ-პოლონური ორგანიზაციის
დამფუძნებელი,
ეკონომისტ-ფინანსისტი

კურნებელ პათოლოგიად მიიჩნეეს. რამდენად ეფექტურია მკურნალობა?

- მკურნალობის სტატისტიკა ასეთია: პაციენტთა 40% სამუდამოდ ივსებებს პრობლემას, სამწუხაროდ 13-15% არ ემორჩილება თერაპიას და მიზეზის დადგენა, ჯერჯერობით, შეუძლებელია. დარჩენილ 45%-ში შეიმჩნევა მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესება, თუმცა მოსალოდნელია რეციდივები, ანუ გამწვავებები. ნამკურნალები პაციენტებთან რეციდივები უკვე აღარ წარმოადგენს დიდ პრობლემას, რამდენადაც ისინი დაუფლებულნი არიან მეტყველების თვითკონტროლში, რომლის დახმარებითაც ადვილად ნიღბავენ დარღვევებს.

- როდის არის ყველაზე სასურველი მკურნალობის დაწყება?

- მკურნალობის დაწყება რეკომენდებულია 5-6 წლიდან, შედარებით რთული პერიოდია ე.წ. გარდატეხის ასაკი, თუმცა ასაკი თერაპიისთვის შეზღუდვას არ წარმოადგენს, მეტყველების ამ ტიპის დარღვევის აღმოფხვრა შესაძლებელია 40-45 წლამდე.

- მეტყველების დარღვევები შესაძლოა გამოწვეული იყოს თავის ტვინში მიმდინარე პათოლოგიური ცვლილებებითაც. ყველაზე ხშირად რომელ ასეთ დარღვევას აწყდებით?

- ყველაზე ხშირია ცერებრული დამბლებით ან სხვა პათოლოგიით პროვოცირებული დიზარტრიები, როდესაც დარღვეულია თავის ტვინის ნერვთა ნორმალური კავშირი სარტიკულაციო აპარატთან და ამიტომ მეტყველება ხშირად გაუგებარი, ნაშლილი ბგერებით მიმდინარეობს. დიზარტრია ერთ-ერთი რთული პრობლემაა, რადგან მისი კორექცია ყველაზე მეტ დროს მოითხოვს, შესაძლოა მდგომარეობის გამოსწორებას, დარღვევის ხარისხიდან გამომდინარე, რამდენიმე წელიც კი დასჭირდეს. ამ დროს მხოლოდ მეტყველების თერაპია საკმარისი არ არის და საჭიროა ნევროლოგიური მკურნალობაც. რაც შეეხება ინსულტისა და ტრავმის შემდგომ მეტყველების დარღვევებს, ამ დროს ტარდება ხანგრძლივი აფაზიოლოგიური მუშაობა, რათა სავსებით და უნაკლოდ აღდგეს როგორც მეტყველების, ისე წერის უნარი. მკურნალობის შედეგი უშუალოდ არის დამოკიდებული ძირითადი დაავადების მკურნალობისა და მის ნეგატიურ შედეგთა აღმოფხვრის ხარისხზე.

- მეტყველების დარღვევა დამახასიათებელია ბავშვთა აუტიზმის, აუტისტური სპექტრის დარღვევების, ექსპრესიული და იმპრესიული მეტყველების მოშლილობებისთვისაც. ამ მდგომარეობათა კორექცია რას ითვალისწინებს?

- ამ შემთხვევებში ტარდება მეტყველების როგორც ფუნქციის, განმავითარებელი მუშაობა, რომელიც საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. სათანადო დონის მიღწევის შემდეგ გადავიდებით უშუალოდ მეტყველების კორექციაზე, რომელიც პრობლემურ ბგერათა ჩვეული წესით დაყენებასა და ჩამაგრებას ითვალისწინებს.



მიმდინარეობს ხელმოწერა

ბთავაზოტ ტესტების ქრებულეს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული ქრებულის ფასი - 10 ლარი



წიგნი I - ძველი ქართული მწერლობა; წიგნი II - „ვეფხისტყაოსანი“; წიგნი III - XIX საუკუნის მწერლობა



სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

- ◆ ქრებულეებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
◆ მათი მეშვეობით გაგიაღვივდებათ საბროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
◆ სწორი პასუხების შემოსაზრის შედეგად თქვენ გაქვებათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
◆ თქვენ შეძლებთ დაქლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაქლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოებრივ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი - 9 ლარი

ქრებულის შექმნის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლება“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

რეკროდუქციები ხელმოწერის კაბინეტისთვის

- 1. ჰორაციუსის ფიცი - შაკ-ლუი დავიდი
2. მწყობრთა თაყვანისცემა - დოგენიკო გირლანდაიო
3. ადელ გლუხ-გაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უძლევი შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საძანელა - თიბორტ რენუარი
9. საკვირაო გასერება გრან შატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

თემატური კლასიკები გალალი კლასებისთვის ფორმატი A1 (59.4x84.1 სმ)

- 1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საძარტველოში
3. გარეული ცხოველები საძარტველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრებები
6. ძველწარმოებები საძარტველოში
7. საძარტველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. ძველი რწმე
10. ნიღაბი - სიციცხლის წყარო
11. რეპტილიები და დინოზოზრები
12. მსოფლიოს დროები
13. ზღვის დინებები
14. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართული მეორის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი სოცრება
18. ბესიკი
19. ალექსანდრე ჭავჭავაძე
20. რუსთაველი
21. თეიმურაზ I
22. ვახტანგ VI
23. გიორგი მერჯულა

ერთი ცალის ფასი - 3 ლარი

ქართული მწერლები

- ◆ ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-V ტომი, - 11 ლარი
◆ მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) I-VII ტომი - 11 ლარი
◆ ლევან გომთუა (7-ტომეული) I-II ტომი - 16 ლარი
◆ ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი - 15 ლარი
◆ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, III, VI, VII, VIII, IX, X ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
◆ რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, IV, V, VI ტომი - 12 ლარი
◆ ვახტანგ ჭილბიძე (9-ტომეული) I-VII ტომი - 12 ლარი
◆ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-V ტომი - 12 ლარი
◆ ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი - 12 ლარი
◆ თამაზ ჭილბიძე (6-ტომეული) I-VI ტომი - 10 ლარი
◆ გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, IV, V ტომი - 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34x47 სმ)

- 1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. გურამ ასათიანი
6. აკაკი წერეთელი
7. კონსტანტინე გამსახურდია
8. პაულ იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. პოლიკარე კაკაბაძე
11. გურამ რჩეულიშვილი
12. იაკოვ ხუცესი
13. იონა საბანისძე
14. დავით გურამიშვილი
15. ბესიკი
16. რევაზ ინანიშვილი
17. ალექსანდრე ჭავჭავაძე
18. რუსთაველი
19. თეიმურაზ I
20. ვახტანგ VI
21. გიორგი მერჯულა
22. გრიგოლ ორბელიანი
23. დავით აღმაშენებელი


ერთი ცალის ფასი - 4 ლარი

ნიგნის თარო მიმდინარეობს ხელმოწერა

„მსოფლიო ლიტერატურის ქლასიკოსები“


- ჯოზეფ კონრადი - ლორდი ჯიმი
- რაფაელ საბათინი - დამუხლები ბარტოლმეო ისტორიის მიღმა
- ერნსტ ჰოფმანი - სატანის ელემენტები
- ნიკოლაი გოგოლი - რჩეული მოთხრობები
- ჯონ გოლდსმითი - რჩეული მოთხრობები
- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
- უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი
- ჯეი ლონდონი - დიდი ხანის პატარა დინასტიის
- მონრა დე პალზაკი - მამა გორიო
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვლარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიფარ ჰაბარდი - მონტენაშუბის ასული
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- შოლდერლო დე ლაკლო - სასიყვართო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
- შტაფან ცვაიგი - მოუთმენლობა გულიან
- ჯონ ბრაინი - გზა ელიტისაკენ
- პროსპერ მერიმე - ილევი ვენერა
- ბილზერტ კ. ჩესტერტონი - დონ კისოტის დაბრუნება
- მარგარეტ დიუბასი - საყვარელი ჩრდილოეთი ჩინეთიდან
- სტენდალი - ნითელი და შავი
- ალბერტო მორავია - მოწყენილობა
- ალექსანდრე დიუმე - კავკასია
- ჯეიმზ ფ. კუპერი - ჯაშუში
- მაინ რიდი - კვარტარონი
- ვილჰელმ ჰაუფი - ლისტენბერგის
- თეოდორ დრაიზერი - დიკო კერი
- ალბერტ კოენი - დედაჩემი
- გუსტავ ფლობერი - მადამ ბოვარი
- ემილ ზოლა - ძალთა ბედნიერება

თითო ტომის ფასი - 12 ლარი




რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ დიდი აღმოჩენები
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამოგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ჩაქირული ქალაქები
- ❖ ქიმიკა
- ❖ მეკოზრები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა



თითო ტომის ფასი - 9 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
 მიმღები - შპს „ახალი განათლება“,
 ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
 ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22



ფასი - 15 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის
 პროზაული ვერსია
 სერიიდან
 ინტელექტი სკოლას



თამაზ ვასაძე
 ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
 ფასი - 4 ლარი



თამაზ ვასაძე
 კომენტარებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
 ფასი - 10 ლარი



თამარ ბეროზაშვილი
 ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
 ფასი - 10 ლარი

ქიმიკა

საატმოსფერო-საბამოცლო საკითხები და ტანსაცმელი
 ლ. თევზაძე
 ფასი - 3 ლარი

ქიმიკა

საატმოსფერო გამოსდისთვის
 ლ. მეტრეველი
 ფასი - 6 ლარი

ქიმიკა

დამხმარე სახელმძღვანელო უფროსკლასელებსა და აზიგურინტეზისათვის
 შ. პეტრიაშვილი,
 ნ. მაისურაძე
 ფასი - 4 ლარი

ბიოლოგია

საატმოსფერო გამოსდისთვის
 ლ. ბურღილაძე,
 დ. ბარამიძე,
 ქ. მალრაძე,
 ნ. სინარულიძე,
 მ. ბაგალიშვილი
 ფასი - 4 ლარი

ფიზიკა

საატმოსფერო გამოსდისთვის
 ქ. ტატიშვილი,
 ზ. ბერაია
 ფასი - 6 ლარი

გეოგრაფია

საატმოსფერო გამოსდისთვის
 ბ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
 ფასი - 6 ლარი

ისტორია

საატმოსფერო გამოსდისთვის
 ბ. ლორთქიფანიძე,
 ნ. ახმეტელი,
 ნ. მურღულია
 ფასი - 6 ლარი

ისტორია

ეროვნული გამოსდისთვის
 ბ. ლორთქიფანიძე,
 ნ. ახმეტელი,
 ნ. მურღულია
 ფასი - 9 ლარი

მათემატიკა

ცნობარი აზიგურინტეზისა და სკოლის მოსწავლეთათვის
 ა. ნარეთელი
 ფასი - 5 ლარი

„მსოფლიო ლიტერატურის ქლასიკოსები“



მთავარი რედაქტორი:
 მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბატაშვილის ქ. №3
 ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
 www.axaliganatleba.ge
 E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba
 რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
 ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
 რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X

 9 772233 386008 >